

# პიონერი



ბავშვთა მოძრაობის უმთავრესი საკავშირო შეხვედრას!



ჩვენი პეკიდებით დავიწყებთ საბჭოთა კავშირს  
საბჭოთა მოკრის უმთავრესი თანადანსაგანს





კომკავშირის მე-6 საკავშირო კონფერენციაზე 5/3 ც. ბ. თავმჯდომარემ ამხ. სევერიანოვამ ანგარიში ჩააბარა კონფერენციას პიონერორგანიზაციის მუშაობის შესახებ. საბჭოთა ქვეყანაში გაძლიერდა ბრძოლა ბავშვებისათვის.

პიონერებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლისგარეშე მუშაობას, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია დავიპყროთ შეუკავშირებელ ბავშვთა მასა.



ამხ. სევერიანოვა

### წარმოებს ბრძოლა ბავშვებისათვის

ბევრ ქვეყანაში ბავშვების საშუალებით კულაკებმა მოახერხეს ანტი საბჭოთა ფურცლების გავრცელება. ჩვენს მტრებს მშვენივრად ესმით ბავშვების მნიშვნელობა და ცდილობენ ისინი თავის ზრახვებს დაუქვემდებარონ.

კომკავშირსა და კლასიურ მტრებს შორის წარმოებს ბრძოლა ბავშვთა მასების დაპყრობისათვის.

### უფრო სწრაფად გავიზრდებით

სწორედ ამიტომ არის ჩვენთვის საყურადღებო პიონერორგანიზაციის ზრდა. ყოველი ახალი პიონერი — კლასიურ მტერთან ახალი მებრძოლია.

ჩვენ კი ძალიან ნელა ვიზრდებით, ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ 6400 ბავშვი შეგვემატა მთელ საბჭოთა კავშირში. ჯერჯერობით პიონერთა გავლენის გარეშე 15 მილიონი ბავშვა.

უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ღარიბი გლეხებისა და მუშების შვილების პიონერორგანიზაციაში ჩაბმისათვის. ყოველი 100 პიონერიდან 40 ბავშვი მუშების შვილია, 30 — ღარიბი გლეხების, 18 — მოსამსახურეების და დანარჩენების — 12.

### წმენდა დაუშვებელია

მაგრამ არ შეიძლება პიონერთა რიგებიდან არამშრომელთა ბავშვების გადღება: ყოველი მათგანი ხომ ადვილად შეიძლება კლასიური მტრების გავლენაში მოექცეს? ამიტომ რიგების წმენდა დაუშვებელია.

ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენი ორგანიზაცია გავაორკეცოთ.

### პიონერები — მშენებლობის მონაწილენი.

მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ უნდა გადავაქციოთ პიონერები დიადი სოციალისტური მშენებლობის მონაწილეებად.

კულტურულმა ლაშქრობამ, საბჭოთა ვადარჩევებმა, მოსავლიანობისათვის ლაშქრობამ და სოციალისტურმა შეჯიბრმა გვიჩვენა, რომ პიონერები სწორ გზაზე დადგნენ.

### ავიღოთ სახელმწიფო დავალებანი

ჩვენი ორგანიზაცია იმდენად გაიზარდა, რომ თამამად შეიძლება იკისროს სახელმწიფო დავალებანი.

განა პიონერორგანიზაციამ თავის თავზე არ უნდა აიღოს სოფლის რადიოფიკაცია? რატომ არ უნდა იკისროს პიონერორგანიზაციამ თუგინდ ისეთი საქმე, როგორც არის 20 ათასი სოფლის სამკითხველოს მოწყობა?

### მეტი ყურადღება ხუთწლიან გეგმას

ხუთწლიანი გეგმის სასარგებლოდ პროპაგანდის დროს ჩვენ შეგვიძლია ფართო და საინტერესო მუშაობის წარმოება. განა ექსკურსიის მოწყობა ახლად აშენებულ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბ. მეურნეობებში — არ არის საუკეთესო ფორმა პოლიტიკური აღმზრდელობისა? განა დღეგეგვების გაცვლა-გამოცვლა ოლქებსა და რაიონებს შორის ხუთწლიანი გეგმის საუკეთესო პროპაგანდა არ არის?

### დავიწყებული ბავშვები

პიონერთა ორგანიზაციის მთავარ ამოცანას შეადგენს დაქირავებული ბავშვების დაცვა — ხელოსნების მოწაფეთა, ძიძების და სხვა.

მათი ექსპლოატაცია დამქირავებელთა მიერ აკრძალული უნდა იყოს მთელ საბჭოთა კავშირში.

პიონერთა ბევრი წერილი ამტკიცებს, რომ ამ ბავშვებს უხდებათ 14-16 საათის მუშაობა 5-10 მანეთად თვეში, თანაც ცემა-ტყუბას და შეურაცხყოფას არ აკლებენ დამქირავებელნი.

პიონერებმა სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ასეთ მოპყრობას და მოითხოვონ საბჭოთა კანონების დაცვა.

### გახდით ორგანიზატორები

კიდევ ერთი ამოცანა დგას პიონერორგანიზაციის წინაშე — ეს არის სკოლისგარეშე მუშაობის ჩატარება, ტექნიკა, მოდელიზმი, სამეცნიერო ექსკურსიები, წიგნით მუშაობა და სხვა. ამ მუშაობის ჩატარება საუკეთესო საშუალებაა პიონერორგანიზაციის რაზმებში ბავშვების ჩათრევისათვის.

### რა უნდა ვაკეთოთ სკოლაში

ბრძოლა პოლიტექნიკური აღზრდისათვის, რომელიც იძლევა საერთო განათლებას, სტიპენდიებისა და სხვა შედეგათების განაწილების დროს ბრძოლა კლასიური მიდგომისათვის და წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის, აი რა უნდა გახდეს ძირითადი ლოზუნგი ჩვენს სისკოლო მუშაობაში.



329.153(051)  
J-47.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი

ფი-  
ფელ-  
ვიკრე-  
კიან  
ქნად  
კიდან  
მთელი  
ფუმინ-  
ამერი-



# გვირის ღალუპვა



სამწუხარო ამბავი მოხდა: ტრალიკულად დაიღუპა აშხ. იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი.

ვინ იყო ფაბრიციუსი?

ის იყო სამოქალაქო ომის გმირი, ერთი იმ ოთხ გმირთაგან, რომელთაც დაიმსახურეს და ებოძათ წითელი დროშის ორდენი. ის იყო ძველი ბოლშევიკი, მრავალ ბრძოლაში გამობრძედილი რევოლუციონერი, თავდადებული მეომარი, მუშათა და გლეხთა ქვეყნის შეუდარებელი და ფხიზელი გუშავი.

ის იყო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწე.

იგი დაიღუპა ჰაერობლანის ავარიის დროს, როდესაც მიეჩქარებოდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებზე, სადაც ის ასე საჭირო იყო თავისი დაკვირვებით და შეუდარებელი ცოდნით.

წითელმა არმიამ დაკარგა თავისი მასწავლებელი და გმირობის მაგალითის მაჩვენებელი, საყვარელი ამხანაგი და მშობლიური ალერსით აღჭურვილი ადამიანი; მუშებმა და გლეხებმა დაჰკარგეს მათი მშვიდობიანი აღმშენებლობის ფხიზელი დარაჯი; კომკავშირლებმა დაჰკარგეს ის, ვისაც შეეძლო ჯერ კიდევ ბევრი ესწავლებინა, თუ როგორ უნდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, სწავლა ბრძოლისა, რომ უფრო მომზადებულბმა შესცვალონ უფროსი ამხანაგები; მუშა და გლეხქალებმა დაჰკარგეს ძმა, რომელმაც მათ განთავისუფლებას შესწირა თავი; პიონერებმა და ოქტომბრელებმა დაჰკარგეს მოსიყვარულე ძმა, მოალერსე დამრიგებელი; ხელისუფლებამ მისი დაკარგვით იგრძნო, თუ რა ძნელია საუკეთესო დაცველის სიკვდილი, სოციალიზმის უღიადესი შენობის გააოცდილი კალატოზის, ხუროთმოძღვრის ჩამოცილება; პარტიას გამოაკლდა საუკეთესო რკოლი თავის დაუმსხვრევ ჯაჭვში; დაიღუპა ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლო ჯერ კიდევ ბევრის მოცემა, დაიღუპა უბრალოდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერჯით აღსავსე და უდიდეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა შტატების საამაყო მოქალაქე.

ერთი იმისი სახელის ხსენება, გამოჩნა ბრძოლის კლზე შიშის ზარს სცემდა ხოლმე თეთრგვარდიელთა ბანდებს. ვინ იცის, რამდენჯერ დაუმარცხებია მას ხშირად რიცხობრივად ათჯერ მეტი მტერი! სამოქალაქო ომის დროს წითელ არმიას სადაც კი გაუჭირდებოდა, ფაბრიციუსი იქ გაჩნდებოდა და ბრძოლის სასწორს ჩვენსკენ გადმოხრიადა; სადაც მეტი საშიშროება და სიძნელე გადაედობებოდა საბჭოთა ქვეყნის დამცველებს, ფაბრიციუსი იქ ინიშნებოდა, — ეს საქმის გამოსწორებას ნიშნავდა.

**ხეციაში** იყო პირველი წითელგვარდიელი, წითელი მხეციაში იყო ჩვენი საამაყო წითელი არმიის საუკეთესო ბავში ბატორი.

— **მეორე ცხოვრობდა და იბრძოდა აშხ. ფაბრიციუსი?**

იგი წითელი არმიის შექმნიდანვე განუწყრელად მასსახვადსხვა თანამდებობაზე — როგორც უფროსი, უმაკი, კულტმუშაკი და სხვა.

ადვილად წელს აშხ. ფაბრიციუსი ერთ-ერთ დივიზიას მოექცეპოლონეთის ფრონტზე და გამარჯვებით მიადჩაქ ნოვოგოროგიევსკამდე.

ორკც

პოლონეთთან მშვიდობიანობის ჩამოგდების დღეს იგი დასკრეს. გამოჯანმრთელების შემდეგ, 1921 წელს ის დაინიშნა მე-43 გაერთიანებული კურსების უფროსად და კურსანტების ბრიგადის სარდლად დასავლეთის ფრონტზე. 1921 წ. აშხ. ფაბრიციუსი არჩეულ იქნა ს. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე და იქიდან გაიგზავნა კრონშტადტის ამბოხების ჩასაქრობად. იცისრა რა მე-501 ლეგიონის სარდლობა, ის ერთი პირველთაგანი შეიქრა კრონშტადტში და დაამარცხა თეთრგვარდიელთა მიერ მოწყობილი უდღეური ამბოხება.

1923 წლიდან აშხ. ფაბრიციუსი სარდლობს ბელორუსიის მე-2 ტერატორიალურ დივიზიას და შემდეგ კი სწავლობს უშალეს აკადემიურ კურსებზე, რომლია დამთავრების შემდეგაც ინიშნება მე-17 კორპუსის სარდლად და სამხედრო კომისრად, შემდეგ კიდევ ამავე თანამდებობაზე იყო მე-4 კორპუსში. 1927 წელს გაიგზავნა უმაღლესი სარდლობისათვის გადასამზადებელ ათთვიან კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც დაინიშნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწედ, რა თანამდებობაზეც მოუსწრო ტრალიკულმა სიკვდილმა.

ამხანაგმა ფაბრიციუსმა, ერთმა იმ ოთხთაგან, რომელთაც მთელ საბჭოთა კავშირში აქვთ წითელი დროშის ოთხ-ოთხი ორდენი, პირველი ორდენი ქ. **პსკოვის** ალბისას მიიღო, მეორე — პოლონეთთან ომის დროს, სმორგოზის პოზიციების გარღვევისთვის; მესამე — კრონშტადტის ამბოხებას ჩაქრობისათვის და მეოთხე — საარტილერგარდო (უკან დახევის დროის ბრძოლა) ბრძოლისთვის პოლონეთის ფრონტიდან უკან დახევის დროს.

**აშხ. იან ფრიცის ძე ფაბრიციუსი** დაიბადა 1877 წელს ქალაქ ვინდავაში (ლატვიაში), მუშის ოჯახში. რევოლუციონურ მოძრაობაში ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაება. 1903 წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (ბოლშევიკების), იმავე წელს შაისობაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და 1904 წლის თებერვალში ჯალათი მეფის თვითმპყრობელურმა სასამართლომ მიუსაჯა ოთხი წლის კატორღა. 1905 წლამდე გადასახლებული იყო იაკუტიის მხარეს და შორეულ აღმოსავლეთის ოლქებში. 1915 წელს, როცა მეფის მთავრობა შეუდგა ლატიშთა მსროლელი ნაწილების შედგენას, აშხ. ფაბრიციუსი ლატივის ბოლშევიკების ცეკას წინადადებით შევიდა ლატიშთა ერთ-ერთ ლეგიონში. 1917 წელს არჩეულ იქნა საარმიო კომიტეტში და მასთან ერთად 9 დეკემბერს გადმოვიდა წითელი გვარდიის რიგებში.

1919 წელს ამხანაგი ფაბრიციუსი იბრძოდა დენიკანის წინააღმდეგ და როგორც მის, ისე სხვა თეთრგვარდიელთა ბანდების ლიკვიდაციაში დიდი როლი ითამაშა.

მანვე მოსპო მამონტოვის რეიდი (1919 წ.) და დაინიშნა კიკვიძის სახელობის დივიზიის მე-48 ბრიგადის უფროსად და მასთან ერთად მონაწილეობდა ლუხანსკის, ლიხოის და ნოვოჩერკასკის ალბაში; მერე მოსპო თეთრების დესანტი ტამანის ნახევარკუნძულზე და დაიჭირა ნოვოროსიისკი.

ამ დივიზიით იყო ის პოლონეთის ფრონტზე... განა შეიძლება ამ უანგარო და უშიშარი გვირის ყველა სასახელო საქმის ჩამოთვლა?

ჩვენ, პიონერება, ჩვენს დროშებს ვხრით მის საფულავზე და ვეუბნებით:

— უფროსო ამხანაგო იან! შენს მიერ დაწყებული საქმის დასამთავრებლად მუდამ მზადა ვართ!



# პიონერში

1929

აგვისტო

საქართველს ბ. კ. ო. ინტრალური და ტფილისის ბიურე-  
გების და განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელთა  
აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშებისათვის.

წელიწადი IV  
№ 15-16

მ  
ა  
ზ  
ა  
რ



მ  
ა  
ზ  
ა  
რ

ა

— რა ამბავია, ვანო? — შეიკითხა ერვანდა ამხანაგს, როდესაც პიონერთა ბანაკში გაისმა ბუკი შეკრების ნიშნად.

— ვგონებ კრებაა. გუშინ მეთაური რომ ამბობდა, ალბათ იმაზე... ჯერ ამიერკავკასიის პიონერთა შეკრებაზე და მერე საკავშიროზე, მოსკოვში, სადაც კავშირის ყველა რესპუბლიკიდან იქნებიან ჩვენი ამხანაგი პიონერები...

— არამც თუ მარტო კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან... — ჩაერია აზიზა.

ამოვიდნენ პატარა მდინარიდან, სადაც ბანაობდნენ, სწრაფად ჩაიკვეს ტანსაცმელი და მოკურცხლეს ბანაკისაკენ სოფლის ბოლოს, სადაც მწვანე მინდორს პიონერთა კარვები თეთრი ღილებივით ასხმოდა...

მზე გადაიწვერა, სიცხე ნელდებოდა, ნელი სიო საამოდ ასისინდა, ჩამოუქროლა ბანაკს, ააშარიშურა ხეებზე ფოთლები, ყურები შეუბერტყა ლენკუთხის კარაგზე აღმართულ წითელ დროშას, გაეკრა ყანებს, შეარხია და გაინაგარდა სივრცეში...

ბუკი უხმობდა სოფელში გაფანტულ პიონერებს, რომლებიც ზოგი შევლოდნენ გლეხებს ძნების

ხილვაში, ზოგი ესაუბრებოდა მათ სასოფლო მეურნეობაზე, ზოგი ვენახში ვაზის შეწამვლაზე ეხმარებოდა, ზოგი ხეხილების შელეცვაში კირწყლით, ხილეულის მავნებელთა წინააღმდეგ და სხვა.

იღვა ყანის და ყვავილების საამო სურნელება... გახარებული პიონერები ფრთაგაშლით ლაღობდნენ ბუნების წიაღში, იზრდებოდა ჯანსაღი მოდგმა, მომაჯალი თაობა, კომკავშირელთა შემცვლელი რაზმები...


ბ

— დღეს ავირჩევთ წარმომადგენლებს ტფილისში გასაგზავნად, სადაც ჩამოვლენ აგრეთვე პიონერები ადერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან, სამხრეთ-ოსეთიდან და სხვა მასრებიდან... — განაცხადა პიონერთა კრებაზე მასწავლებელმა (მეთაურმა), რა გააცნო კრებას მიზანი ამ შეკრებისა. — ამიერკავკასიის შეკრების შემდეგ აირჩევიან წარმომადგენლები საკავშირო შეკრებაზე გასაგზავნად მოსკოვში, სადაც კავშირის ყველა რესპუბლიკიდან იქნებიან პიონერები, იქ იქნებიან აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან; როგორც გუშინწინდელ გაზეთში იყო ცნობა მოთავსებული, ამერი-



კის დღეგაცია უკვე გამოგზავრებულა; ამ დღეგაციაში ზანგი პიონერებიც არიან...

— მოსკოვში? აჰ, ნეტა მიჩვენა! — წარმოსთქვა ნატვრით ვანომ და ერვანდას გაუღიმა.



ამიერკავკასიის პიონერთა შეკრება, სომხეთის პიონერი სალიუტს იძლევა.

- მეც... — მიუგო მან.
- შევეხვეწოთ, იქნება ჩვენ გაგვგზავნონ! — ალაპარაკდა აზიზა.
- სიჩუმე, ამხანაგებო!..
- უნდა ავირჩიოთ ამდენი წარმომადგენელი, ჩემო პატარა ამხანაგებო, და... — დაიწყო მეთაურმა, მაგრამ ალაპარაკი აქეთ-იქიდან წამოძახილმა შეაწყვეტინა:
  - პეტია! ლიუბა! ნინა! ვასო! ერვანდა! შალიკო!
  - აზიზა! მიტო! ვალიკო! ალიო! თამრო! არუსიაკა! ლეილა! მიაყარეს ზედიზედ დასახელება...
  - კარგი, მაცადეთ, ამხანაგებო...
  - ვანოც! — წამოიძახა გაიანემ, — თორემ შეხედეთ, როგორ დაუშვა ცხვირი!
  - არა, მე... რა... მე... — თავი ჩაღუნა ვანომ მორცხვად... ვითომ უარს ამბობს, მაგრამ გულში კი ნაწყენია, რომ არავინ დაასახელა.
  - კარგი... ვანოც... მაგამ ცელქი რომაა, ამიტომ რა ვიცი... როგორც გინდათ... ვინა ხართ დასახელებული ამხანაგების მომხრე?
  - მე!
  - მე!
  - მე!.. — და ასწიეს ხელები!

არჩეულთა მოღიშარი სახეები ანათებენ ხალისს... ვანოს სიხარულს ხომ საზღვარი არა აქვს... გახარებული არიან ერვანდა და აზიზაც, რადგანაც ორივე კარგი ამხანაგები არიან ვანოსი და გული დასწყდებოდათ, ვანო რომ მათში არ ყოფილიყო, რომელსაც ზედმეტ სახელად „ყოჩს“ ეძახდნენ, რადგანაც ყველა საქმეში წინ მიუძღოდა ხოლმე ამხანაგებს...

8

პიონერული

— თუ რას ნიშნავს პიონერობა და პიონერული მოძრაობა, ეს თქვენ იცით, ჩემო პატარა ამხანაგებო, და აქ ახსნას არ დაგიწყებთ.

პიონერები მუშათა და გლეხთა შვილები არიან-ეს მესამე თაობაა... ეს ძია ლენინის მეთაურობით მომხდარი ოქტომბრის ერთი მიღწევათაგანია. თქვენ, ხართ ჩვენი კომუნის შვილები, ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბებულია მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ. ბურჟუაზიულ ქვეყნებშიცაა ბევრთა ორგანიზაციები, მდიდართა შვილებისაგან შემდგარი, რომლებთანაც ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს, მაგრამ როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე სხვა ქვეყნებში გაიდგა ფეხი ჩვენი მიხედვით მშრომელთა შვილებისაგან შემდგარმა პიონერთა ორგანიზაციებმა, პიონერულმა მოძრაობამ; ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ ეს, ჩვენ უნდა გავიცნოთ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების პიონერები, ამისათვის ეწყობა ამიერკავკასიის შეკრება ტფილისში; უნდა გავიცნოთ საბჭოთა კავშირის ყოველი მხრის ჩვენი ამხანაგები და ამისათვის ვიკრიბებით ყველანი მოსკოვში, ამ რევოლუციის ცენტრში. ჩვენ უნდა გავიცნოთ და მკიდრო კავშირი გავაბათ ჩვენს უცხოელ ძმებთან, დებთან — პიონერებთან, ამიტომ მოდიან ისინი მოსკოვში, მათი წარმოშობის სათავეში, შტაბში...

განაგრძობდა მეთაური, რომელიც მოუძღოდა არჩეულ დღეგატებს.

— აგერ ავტომობილიც! — წამოიძახა ნინამ, რა შარავზაზე გაისმა გუგუნნი და ანდა მტვერის კორიანტელი.

— ეს ავტომობილი გაგვაქროლებს ტფილისისაკენ! — სიხარულს ვერ მალავს ვანო.

გაისმა ბუკი, დაფი, დაიწყო გამოშვებობა. ბევრს გული დასწყდა, რომ არ მიდიოდა, მაგრამ მაინც გახარებული იყვნენ და არიგებდნენ მიმავლებს:

— ჩვენს მაგიერ სალამი გადაეცით ამიერკავკასიის რესპუბლიკების პიონერებს ტფილისში, მიესალმეთ მოსკოვში შეკრებილ მთელი კავშირის ამხანაგებს, გამარჯვება უსურვეთ უცხოეთიდან მოსულ სტუმრებს!..

— ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ, ამხანაგებო, თქვენს დანაბარებს! მიუგეს მიმავლებმა.

აგუგუნდა ავტომობილი... სოფელი უკვე შორს დარჩა... თითქოს გავარვარებული თონეაო, ისე მოჩანდა ტფილისი, კოჯორის მალღობს რომ გადმოაღვენ.

დ

— დაეზარდნით, შვილებო, დედას! — წამოიძახა მოხუცმა დიდებომ, ხელი თვალეზზე წამოიხრდილა და დიდხანს არ ამორებდა თვალს, როდესაც ავტომობილმა ვენახებს, ყანებს ჩამოუქროლა და პიონერების ყრიაშულს მოჰკრა ყური...

პიონერების წკრილა სიმღერის ხმა სასიამოდ ეფინებოდა მიდამოს, ყველა რატომღაც სიხარულით შესცქეროდა ამ წითელყელსახვევიანებს...



— ნახვამდე, ძია ანდრო, თედო, ალექსი, ნიკა... — უქნევინ ხელს ავტომობილიდან დელეგატები და ემშვიდობებიან ყანაში მომუშავე ნაცნობ გლეხებს!

— ჩქარა დაბრუნდით, შვილებო, კეთილად იმგზავრეთ! — აცილებენ ისინი მხიარულად.

— დედა! — გადასძახა ტატომ, სოფელელმა პიონერმა, რომელიც თან მოჰყავდათ მობანაკე პიონერებს, რა წყაროზე კალათით მხარზე შემოხვდა ავტომობილს და გადააწოდა ხილი.

— შენ გენაცვალოს დედა!.. — სიხარულის კრემლს ველარ იქერდა...



ოქტომბრელები გადაჰყავთ პიონერებად. პირველი ყელსახვევი.

— დედა, იქნება მოსკოვიცა ვნახო, მაშა!!!

სალამო ახლოვდება. სიარლივე მატულობს, ავტომობილი სოლოლოკის დაღმართს აფორიაქებს, ქუჩები მზით დასიცხვის შემდეგ უკან იღვრიან მიღებულ სითბოს, სიმხურვალეს და ბანაკის სიგრილეს შეჩვეულ პიონერებს აგრძნობინებს თავის ცხელ გულში ჩახუტებას...

**2**

— ... დიად, საზოგადოებრივ ამხანაგებს გზავნიან იქაური პიონერები კომკავშირის მეთაურობით; ამ შეკრებას ხელმძღვანელობს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი... — განაგრძობს დაუღალავი მეთაური, რომელიც ასე ძალიან უყვართ პიონერებს და რომელსაც ასე გულდასმით უსმენდნენ... — თქვენ აქამდე იყავით ოქტომბრელები, ახლა კი პიონერები; თქვენ, რომ წამოიზრდებით, უნდა შეავსოთ კომკავშირის რიგები, მერე კომპარტიისა და განაგრძოთ ცხოვრებაში წინსვლა სოციალიზმისაკენ, ლენინიზმის გზით; ეს იდეა, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა და მათი შვილების — პიონერების — გულში ასე მძლავრი სიყვარულითაა ავარგარებული, უფრო უნდა გაადრმაოთ. თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ, ყველაფერში წინ უნდა იდგეთ, კულტურულად მაღლა აიწიოთ, პოლიტიკურად განვითარდეთ, საუკეთესო ფიზკულტურისელები უნდა იყოთ, ივარჯიშოთ, გაიწვრთნათ; თქვენ უნდა დაუახლოვდეთ და გაიცნოთ წითელი ყაზარმა, ქარხნები, საბჭოთა და კოლმეურნეობანი, უნდა შეისწავლოთ ცხოვრება მუშების აქ და კაპიტალისტურ ქვეყნებში,

წითელარმიელთა მდგომარეობა, გლეხობის ყოფა, ყველგან უნდა ჩანდეს თქვენი აქტიობა და დახმარება... უნდა იცოდეთ, როგორია აქ თავისუფლად თქვენი აღზრდა და როგორია კაპიტალისტურ ქვეყნებში თქვენი მოძმეების მდგომარეობა, რომლებიც ისევ იმყოფებიან კაპიტალისტური უღლის ქვეშ, როგორც მათი მშობლები. თქვენ უნდა ერკვეოდეთ საერთაშორისო მდგომარეობაში და განსაკუთრებით პიონერულ მოძრაობაში მთელ მსოფლიოში... და, აი ეს საკავშირო შეკრება ბევრ გამოცდილებას მოგცემს ამ საკითხში... პიონერი უნდა იყოს პირდაპირი, გაბედული, გულმართალი, ამხანაგისათვის თავდადებული, კომუნისმისათვის მებრძოლი, ჯანსაღი როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად...

სალამოს გასაჩირადღნებლად ზაჰესი ისვრის ფერად ვარსკვლავებს...

**3**

რა დილა გათენდა, ავუჯუჟდა მუსიკა, სადგურში ჩამწყრივდნენ პიონერები მეზობელი რესპუბლიკიდან მომავალი ამხანაგების შესახვედრად...

გახარებული სახეები, მოუთმენელი მოლოდინი... აგერ ორთქლმავალმაც იკივლა და ბ. თომის მხრით შემოგრიალდა, აგერ ბაქოდან, აი ერევნიდან...

შეხვედრის მარში, ბუკი, დაფი — ერთმანეთში ირევა.

მისალმებანი, აზრთა გაზიარება, გაცნობა... ახალგაზრდა ნორჩი რიგები თამამად მოაბიჯებენ რუსთველის ქუჩაზე, ჩაუვლიან სასახლეს, გადიან თავისუფლების მოედანზე, სადაც ტრიბუნლიდან ესაღმებთან მრავალ ომში გამობრძმედილი უფროსი ამხანაგები, ვეტერანი კომუნისტები, აკომკავშირელები, მუშები, გლეხები, მუშა-ქალები, წითელარმიელები ყველას სახე უღიშის ამ თავისი შემცვლელი ნორჩი რაზმების ყურებით და თითქმის ყველა ერთისადაიმავე აზრით გამსქვალული შესძახებს:

— მრავალ ბრძოლაში დაღლილ უფროსთა ნაცვლად მომავალ პიონერებს ვაშა!

— მხადა ვართ მარად!!! — ერთმანდა უპასუხებენ მრავალი ათასეული პიონერები..

სახციმოდ მორთული ქალაქი ბობოქრობს...

ლენინის სტადიონი: პიონერთა სხვადასხვა ვარჯიში მოლოდინს აჭარბებს; სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს სჯობნიან მომზადებაში, ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაგრამ ყველას კი ერთი მიზანი აქვს:

— პროლეტარულ პიონერთა მომზადების შემოწმება, გასინჯვა, დაკავშირება, წინსვლა...

**4**

მოსკოვ - ტფილისის მატარებელი. დილაა. რონოდები ივსება მოყრიამულე პიონერებით. მუსიკის გრილში შეჭკივლებს ორთქლმავალი, ბორბლები თანხმოვანად ცეკვავენ გველებივით გაწოლილ ლიანდაგზე... ფანჯრებში გადმოკუდებული პიონერთა მოღიმარი სახეები ემშვიდობებიან სიცხიან ტფილისს...



— აგერ მთაწმინდა, კაკლის ხე... იმის დაბლა პატარა სახლი რომ მოჩანს, იქ ვდგავართ ჩვენ, — ეუბნება ვანო ამხანაგებს.

— აგერ ჩვენ იქ...  
— ჩვენ კიდევ აგერ ა იქ...

ისმის აქეთ-იქიდან, რასაც სიმღერა ფარავს...

— აგერ კოჯორი... იქით ჩვენი სოფელი... დედა... — წარმოსთქვა დარცხვენით ტატომ და ხელი გაიშვირა, სიტყვა აღარ დაათვა... უხაროდა, რომ მიდიოდა, მაგრამ თანაც გული აქ რჩებოდა, თითქოს სამუდამოდ შორდებოდა...

ეს შეატყეს ამხანაგებმა და დაუწყეს გამხნივება...

— ორიოდ კვირა, და ისევ აქ გავჩნდებით!..

მატარებელი მიქრის თავქუდმოგლეჯილივით...

გადაჭრა ადერბეიჯანის ველები... აგერ ბაქო, მახუთის, ოქროს ქალაქი, საბჭოთა კავშირის სიმდიდრის, დაუშრეტელი შადრევნებით... აგერ კასპის ზღვა, დალესტანი, საჩენეთი, ჩრდილო კავკასია, დონი...

— ეს ისაა... ეს კიდევ... — და უხსნის მეთაური, აცნობს ყოველ ღირსშესანიშნავ ადგილს.

უკან რჩება ღრუბლებში აჭრილი კავკასიონის მუდამ თოვლით დაფარული ქედები... მატარებელი თითქოს იერიშზე გადავიდაო, ისე შეიჭრა რუსეთის თვალუწვდენელ ველებზე...

— აქ მოხდა თეთრგვარდიელებთან უკანასკნელი ბრძოლა, აქედან იფრინეს წითლებმა ისინი... — და მეთაური აჩვენებს ადგილებს, რომელიც არაერთხელ უნახავს აქ გავლის დროს, იცის, რა მდგომარეობა იყო აქ სამოქალაქო ომის დროს, რომლის ტალღებზეც იშვა ოქტომბრის მონაპოვართა დაფნის გვირგვინი — პიონერიზმი...

პიონერები გაფაციცებით უგდებენ ყურს, ათვალიერებენ მიდამოებს, რამდენადაც მატარებლის ჩქარი სვლა უწყობს ხელს...

სადგურები, ჯიხურები, სახლები, ხეები, მინდვრები, მდინარეები, ტელეგრაფის ბოძები ისე მოჩანს, თითქოს არა მატარებელი მირბის ასე ჩქარა, არამედ ისინიო...

— ჰმ... შეხედეთ და, რა ხელისგულივითაა გაშლილი ეს მინდვრები!

— არა ჰგავს ჩვენს მთავარიან ქიეყანას!

— ესაა პურის ბელლები!..

იძახიან პიონერები...

ამ მატარებლის გარდა, ვინ იცის, კიდევ რამდენი მატარებელი მიქრის კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან მოსკოვისაკენ, რამდენი ახალგაზრდა გულია აჩქროლებული მზიური სიხარულით.

ყოველ დიდ სადგურზე ხედებიან მატარებელს მოსკოვისკენ გასამგზავრებელი პიონერთა რაზმები; ესენი მარჯვნივ ხელის მალლა აწევით და ღიმილით ესალმებიან ერთმანეთს; მათ ყველას ერთი მიზანი აქვთ და ერთი აღტაცება, მათ ერთმანეთთან დაულაპარაკებლად ესმით სად მიდიან და რისთვის...

— ვინა ხართ? სადაურები? რომელი რესპუბლიკიდან? — აი ეს კითხვები ისმის, რა ერთმანეთს ხელს ჩამოართმევინ; ბევრს ერთმანეთის ენა არ ესმის, მაგრამ გრძნობით ესმით ყველაფერი, ყველამ იცის;

რომ ერთი კავშირის შვილები არიან, პიონერები... ვინ იცის, მსოფლიოს რომელი კუთხიდან არ მოქრიან მატარებლები პიონერებით მოსკოვისკენ ამ შეკრებაზე, რომელ ოკეანებსა და ზღვებს არ მოაპობენ ხომალდები და რა მხრიდან არ მოფრინავენ აეროპლანები!..

თ

— ერთმანეთს არ დასცილდეთ, იარეთ მწყობრად! — გააფრთხილა მეთაურმა, რა მატარებელი გაჩერდა დიდი ქალაქის დიდ სადგურზე, სადაც მრავალი მხრით ჩამოსულ პიონერებს დაუხვდნენ მოსკოვის პიონერები მუსიკისა და ვაშის ხმაურით...

სადგური, რომელიც მოართულია დროებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, რომ იტყვიან, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოა, ისეა გაქედლილი ხალხით; პიონერების ლამაზად ჩამწკრივებული რიგები, საუცხოვო წესრიგი, სისუფთავე, სიხარული აჯადოვებს თვალს, გულს, რადაცა გამოურკვეველი აღტაცება ატყვევებს.

აი რას განიცდიდნენ ვანო, აზიზა და მრავალი ახლად ჩასული პიონერები...

— ვანო, შენი ამბავი რომ ვიცი, აქ არსად არ ჩამოგვრჩე, გზა არ აგერიოს, იარე რიგში, მერეც მოესწრები მაგის გაცნობას! — უთხრა მეთაურმა, რა შენიშნა, რომ ვანო გადავიდა მეორე რაზმთან, რომელიც მათ მხარდამხარ მისდევდა ქალაქისაკენ; ეს იყო რაზმი შორეული აფრიკის ზანგ პიონერებისა; ვანომ ჯერ შორიდან ვაუღიმა ერთ მათგანს, რომელმაც აკრეთვე შემოპლიმა, შოკოლადისფერი სახე გაწათლდა, ფართე ტუჩები გააპო და გამოაჩინა თეთრი კბილები; მათ თუმცა ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, მაგრამ ორივეს წითელი ყელსახვევი ჰქონდა, მაშასადამე, ორივე პიონერები იყვნენ, ძმები; ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, გადაეხვიენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ახლა შეხვდნო აქ.

ვანომ რა მეთაურის შენიშვნა გაიგო, სწრაფად ჩაღვა თავის წრეში, მაგრამ ის ერთი ზანგი პიონერი მაინც არ სცილდებოდა თვალიდან და მიდიოდნენ, ხშირად შორიდან ერთმანეთს ვაუღიმებდნენ...

— მე ვანო მქვიან! — გადასძახა ზანგს თავისივე ნიშნებით.

ზანგი, ეტყობა, მიხვდა, რომ ღიმილით ხელი მკერდზე დაიდო და წარმოსთქვა:

— ჯო!

— ჯო რქმევია, — გადაულაპარაკა ამხანაგებს ვანომ...

ი

გრიანებს სტალიონი...  
მუსიკა. სიმღერა. ცეკვა. თამაში.

მოსკოვი გული იყო მთელი მსოფლიოს მშრომელთა, დღეიდან მოსკოვი გულია აგრეთვე მთელი მსოფლიოს პიონერთა...

ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს! საბჭოთა კავშირიდან: რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, თურქი, სომეხი, ტაჯიკი, გერმანელი, პოლონელი, ბაშკირი, იაკუტი, მონღოლი; უცხოეთიდან: ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, ბელგიელი, პოლონელი...




ლი, ესპანელი, პორტუგალიელი, შვეიცარიელი, იტალიელი, ჰუნგარიელი, ავსტრიელი, ბერძენი, ჩეხი, სლოვაკი, სერბი, ბოლგარი, თურქი, სპარსელი, ინდუსი, კორეელი, ჩინელი, იაპონელი, არაბი, ზანგი აფრიკიდან, სუდანელი, ამერიკელი, ამერიკელი ზანგი, და განა ჩამოსთვლის ყველას კაცი? თვით შორეული არგენტინელები, ავსტრალიელები, კუნძულ კუბადან, სუბატრიდან, ბორნეოდან, ფორმოზადან, მადაგასკარიდან, ფილიპეს კუნძულებიდან, ფნები, შვედები, ნორვეგიელები, დანიელები, ლიტველები, ლატიშები, ესტონელები, და სხვა; უმრავლესობა მათგანი გამოპარულია თავისი ქვეყნებიდან, რომ არ დააკლდეს ამ პიროველ შეკრებას, მათ არ უშვებდენ მთავრობები, რომ აქ არ „მოიწამლონ“ კომუნისმის იდეებით...

ჩვენი ბანაკის პიონერთა ყურადღებას უფრო ფერადკანიანი პიონერები იქცევდნენ — არაბები, ზანგები, ინდუსები, ჩინელები, კორეელები, ინდოელები და სხვ.

— აი ყველაზე დაჩაგრული ერების მვიღები! — უხსნის მეთაური, — მათ იციან, რომ მათი განთავისუფლება შინაური თუ გარეშე იმპერიალისტებისაგან მხოლოდ დაჩაგრულ ხალხთა ერთობით შეიძლება და ამ ერთობის საყვირია საბჭოთა კავშირი, თავისი გულით, მოსკოვით, და ამიტომ ასე აღფრთოვანებით მოდიოდნენ ესენი აქ...

ბევრი ქვეყნის პიონერები აკლია კიდევ — ისინი არ გამოუშვა მათმა მთავრობამ, ბევრია, ალბათ, გულდაწყვეტილი ამით.



სადღესასწაულები ეგვიპტის სასახლეში.

— სად არის აქ ლენინის აკლდამა? — ეკითხება ჯო ვანოს, რა ერთმანეთი გაიცნეს, დაუახლოვდნენ.

— მეც არ ვიცი. მეც შორიდან ვარ ჩამოსული... ჯერ არ ვყოფილვარ... ალბათ მალე გავატარებენ ქაჯ... ვიცი, რომ კრემლის ახლოსაა, ერთ-ერთ კედელთან, წითელ მოედანზე! — მიუგო ვანომ.

თურქი ნაზიმი თარჯიმნობს მათ, მან იცის არაბული, სუდანური და რუსული ენაც... სხვა ჯგუფებშიც არიან მთარგმნელები...

— მერე და შენ რა იცი ლენინი? — შეეკითხა გაკვირვებული ერვანდა.

— მე? მე კი არა, ყველამ იცის... ისაა ჩვენი დამხსნელი, ის გვიჩვენებს გზას, ჩვენი ხალხი იმის სახელს ლოცულობს, ბევრ სუდანელს ის მკვდარიც არ ჰგონია; მას მოელოან ჩვენში და ამბობენ: მოგეკაცი, ყველამ დაჩაგრულის მეგობარი, და გვასწავლის

გზას, ბრძოლას, როგორ გავითავისუფლოთ თავი ინგლისელი პოლიკონიკებისა, ფრანგი გენერლებისა და სხვებისაგან.

— ლენინ? ლენინ!.. — წარმოსთქვა ჩინელმა ჩან-სუმ და მარჯვენა ხელი ასწია ზევით საპატიოდ.

— ის თქვენი ხუნხუზები თავს რომ გვესმინან, რას ფიქრობთ, ჩან-სუმ, თქვენ, არ უნდა მოუგრიხოთ კისერი? — შეეკითხა ლიმილით წითელპრესნილი<sup>1)</sup> ალიოშა, რომელიც ამათ გზის მაჩვენებლად ჰყავდათ მიჩენილი.

— მამაჩემს თავი მოსჭრეს... ჩემი ძმა აჯანყებულთა რაზმშია... მე უნდა გავიზარდო და შური ვიძიო. ჩან-კაი-შის ასე ვუზამ! — და ამ სიტყვებთან ერთად მუშტი ცხვირთან მიიტანა, ვითომ ავუქექყავო. გაისმა მეგობრული სიცილი...

— ო, თქვენ არ იცით, რა საშინლად აწამებენ ღუბანები (გუბერნატორები) ჩვენს ხალხს... დიდებს კი არა მარტო, ჩვენც, პატარებსაც არ გვინდობენ... მე რიკმად ვიყავი... პატარა ეტლი მქონდა, ჩასხდებოდნენ მანდარინი ლი-ჩუცინი, ან ვაჭარი

ხაო-შე და მთელი დღე მარბენინებდნენ შანჰაის ქუჩებში, ნახევარი სუც არ მოუციათ ქირად; რომ მოეთხოვდი, მცემდნენ... ინგლისელი კაპიტანი ჯონ ლანდრეგი რევოლვერით შემუქრებოდა ხალხს, ფულს რომ მოეთხოვდი, ამერიკელი კონცესიონერი მეკფრიდი მათრახით ზურგს ამიწვავდა, როცა სიტყვას შევუბრუნებდი... ერთხელ თავისი შვილი ჩამისვა ეტლში და მითხრა გაასეირნეო... ნახევარ დღეზე მეტი ვატარე და როცა დავიღალე, შეიდექი დასასვენებლად; მან ჯოხი ვადამარტყა და ისე დამისტვინა, თითქოს ცხენი ვყოფილიყავი; მეც ვეღარ მოვითმინე და გადმოვავდე ძირს, ამოვიდე ქვეშ... მე ამისათვის დამიჭირეს, სამი დღედაღამე არაფერი მაჭამეს, აი ეს ყურიც ამახიეს... — და ამ სიტყვებზე ყურზე ანიშნა, ისედაც ყვითელი ფერისა, უფრო გაფითრდა სიბრაზით.

ო, თქვენ არ იცით, როგორ გეტანჯავენ! — დაუმატა ი-ნუ-სიმ, მისმა ამხანაგმა, და ასწერა ჩინეთის საშინელებანი.

— აქ რა გიჭირთ, აქაურ პიონერ ბს, თავისუფლად იზრდებით, ინგლისელების სათავეში თქვენი მამები, ძმები, დედები და დები! — უნდა ნახოთ ჩვენი მდგომარეობა... — აღმზარაკდა ინდუსი სკანდა.

1) წითელი სწა უბანია მოსკოვში.



— არამც თუ თქვენ, დაპყრობილ ქვეყნის შვილებს, არამედ ჩვენც. ევროპელი მუშის შვილებს, ჩვენი ფაშისტები გასაქანს არ გვაძლევენ, გვაწიოკებენ, გვხოცავენ და... თავი კი განათლებულ ხალხად მოაქვთ.— წარმოსთქვა აქამდე ჩუმად მდგარმა იტალიელმა ლუიჯიმ.

— ჩვენი მთავრობა, სოციალ-დემოკრატი მულერი და სხვები, რომლებიც ჰინდენბურგის მონები გახდნენ, მუშა თუ კომუნისტია, აძევებს მას სამუშაოდან, მის შვილებს ითხოვენ საწავლებლიდან... მამაჩემი დოკერია ჰამბურგის ნავსადგურში. ის ორჯერ ჩასვენს საპყრობილეში... მე კი დამითხოვეს საწავლებლიდან და მერე ძლივს მიმიღეს ისევ, ნავსადგურის მუშები რომ აჯანყდნენ! — დაიწყო ოტომ, მაგრამ ამ დროს გაისმა საყვირი, მუსიკა მარშით ახმაურდა, ყველას შეკრებად იხმოზდნენ, ყველა ეწყობიდა თავისიანებთან...

ასე გაეცნენ ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის პიონერები თავისუფალ დროს, ასე გაუზიარეს ერთმანეთს თავისი ჭირ-ვარამი და შეჭფიცეს, რომ ყველა გააძლიერებს თავის ქვეყანაში პიონერორგანიზაციებს, ხელს შეუწყობს და მრავალ თავის ტოლს. ჩაითრევს პიონერულ მოძრაობაში...

— ხსნა ჩვენს დაახლოვებასა და შემქიდროებაშია! აი რას ამბობდა ამ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე პიონერთა გამოხედვა, რომელთაც ერთი გრძობა აკავშირებდა...

ლ

— სმენა! — გაისმა საერთო ბრძანება, და პიონერთა რიგები ჩამწყრივდა, ყველა თავ-თავის ადგილზე;

პიონერების შეკრება — საბჭოთა კავშირის დაცვის საქმას.

პიონერთა მომავალ საქავშირო შეკრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოზარდი თაობის ფართო ფენების ქვეყნის თავდაცვის საქმეში ჩასაბმელად.

პიონერთა იმ ორგანიზაციებში, რომლებსაც ჰყავთ სამხედრო, მსროლელი და ფიზკულტურული რაზმები და რომლებიც შეჯიბრებას მოაწყობენ შეკრების დროს, გამოიქედებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომავალი მებრძოლები.

ახალგაზრდა პიონერმა იცის, რომ ჩვენ გარს გვახვევიან დაუძინებელი მტრები, რომლებიც ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ახალგაზრდა პიონერი ემზადება მომავალ დიად ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის.

ახალგაზრდა პიონერი სწავლობს მარჯვედ სროლას, სწვრთნის თავის თავს, ეჩვევა გაკირვების ატანას, განივითარებს ძალას, ამტანობას, სიმკვირცხლეს, სწავლობს სამხედრო წყობას და იძენს სამხედრო ცოდნას.

ინტერნაციონალის გუგუნში აჩირალდნდა მრავალი ათასეული სახეები ერთი ღამით... თუ რა აღტაცება განიცადეს აქ სხვადასხვა ქვეყნის პიონერებმა, განა შესძლებს ვინმე იმის გადმოცემას; ვინ იცის, რა იმედები უნდა წაიღონ თან!

— წინ იარ!!! — დაიგუგუნა ხმა, და წითელ მოედანზე ჩამწყრივებული მუშების, გლეხების, წითელარმიელების, მუშა-ქალების და ახკომკავშირელების ცოცხალ ორლობეში ჩაიარა ქესამე თაობამ წითელი ყელსახვევებით.

პიონერთა აღლუმს იღებს მსოფლიო აფეთქების შტაბი — მალალ ტრიბუნაზე ილიმებიან სტალინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი და ინტერნაციონალის აღმასკომი.

ესაა ლენინის მავზოლესთან... — მთელი მსოფლიოს პიონერებო, მსოფლიო რევოლუციისათვის იყავით მზად! — ესალმება უზუცესი კომუნარი ძია კალინინი.

— მზადა ვართ!!! — გრიალებს მრავალათასეული ახალთაობა.

კომინტერნის წევრები თავისი ქვეყნის პიონერებს ესალმებიან მშობლიურ ენაზე, რაიც დიდ აღფრთოვანებას იწვევს ტაშის, მუსიკის და მრავალ სხვადასხვა ენაზე წამოძახილი აღტაცების გუგუნში.

მავზოლეს წინ გავლის დროს გაისმა სამგლოვიარო ჰიმნი, და წითელი დროშები ძირს დაიხარა ოდნავ...

— რათა? — იკითხა მუდამ დაინტერესებულმა ვანომ, რაზეც მეთაურმა უბასუხა:

— აქ ასვენია ძია ლენინი!

ს. ე.

ახალგაზრდა პიონერი მზად არის შესწიროს თავისი ძალ-ღონე, თავისი სიცოცხლე სოციალიზმის საქმეს; ის უშიშრად და მტკიცედ იბრძოლებს რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, როგორც იბრძოდა და იბრძოლებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ძველი გვარდია.

შეკრების დღეს პიონერთა რიგები კიდევ შემქიდროვდებიან კომუნისტური პარტიის სახელგვანი დროშის ირგვლივ; ქვეყნისა და სოციალიზმის თავდაცვის ირგვლივ.

თავდაცვა-ავიაქიმი უნდა დაეხმაროს პიონერმობაობას ამ მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებაში. მოზარდი ახალგაზრდობის გასამხედროება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოცდილ ხელმძღვანელთა კადრებით.

გამარჯვება ჩვენს კლასიურ მტრებზე უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენი ახალგაზრდობის მომზადებაზე, იმ უზარმაზარი და ძნელი ამოცანების შესრულებაზე, რომლის წინაშე დაგვაყენებს სამხედრო მდგომარეობა.

უნწლიხტი.



# პ ი ო ნ ე რ ს

(პიონერთა საკავშირო შეკრების გამო)



ამხანაგი ხარ,  
ჩემო პატარა,  
ვხედავ, მოდიხარ  
ჩემი შემცვლელი,

დედამ ორთავე  
მუცლით გვატარა,  
ორთავე ვიყოთ  
კომუნის მცველი.

მწყობრში მიჰყვები  
დაფ-საყვირის ხმას,  
მზისგან დამწვარი,  
ჯანსაღკუნთება.

შენც უპასუხებ  
კლასის გულისტქმას,  
შენს თაობასაც  
ბრძოლა უნდება.

სულ მალე დაჰკრავს  
ბრძოლის საათი,  
რომ ელვარებდეს  
წითელი ფერი.

საბჭოთა მხარის  
თავდაცვისათვის  
მუდამ მზადა ხარ  
დღეს პიონერი.

ზღვასავით ღელავს  
ეს კოლონები,  
ღროშების ჩრდილი  
ადგია ტფილისს.

გექნება ყრმობა  
მოსავონები,  
როცა ბავშობის  
ხანა გაივლის.

არ უნდა ვიგძნო  
იქ უშენობა,  
სადაც შრომაა  
ნიადაგური.

შენდება ქვეყნის  
დიდი შენობა,  
შენც მიუმატე  
ერთი აგური.

ამხანაგი ხარ,  
ჩემო პატარა,  
ვხედავ, მოდიხარ  
ჩემი შემცვლელი.

დედამ ორთავე  
მუცლით გვატარა,  
ორთავე ვიყოთ  
კომუნის მცველი.

ვარდამ უფრული.

## კ ა ტ ა რ ა ჩ ი ნ ე ლ ს .

როცა ბრძოლის ბული იდგა,  
და სერავედა სისხლი ველებს,  
მტერი მტერსა სცემდა მედგრად,  
შურისაგან განახელებს,—

მაშინ მოჰკლეს მამა მტრებმა,  
გაიგმირა მისი გული,  
ამონადენ სისხლის შეხეფმა  
შეუღლება მკერდზე წყლული.

დედის სახეს ცრემლი რწყავდა,  
მოეხვია ოჯახს სევდა;  
სახლის კარი გაღირაზა,  
და წაგვართვა მამა ბედმა.

დავრჩით ობლად აღარ იყო  
ჩვენს ოჯახში მუშის მყოფი.  
ო, მე ახლაც თვალწინ მიდგას  
მამა, ველზე მომაკვდავი.

განგლო კიდევ მრავალ წელმა,  
აბობოქრდა მშრომელთ ჯარი,  
და მოედო მტარვალთ უბნებს  
ბრძოლა, მედგრად გადმომსკდარი,

ახლა დედა ქარხანაში  
შრომობს მედგრად, შრომობს მარდად,  
და იგონებს მამის ანოერძს,  
რომ მებრძოლად გამოიზარდოს.

და მე ვწუხვარ: ნორჩსა ჩინელს  
რომ პოუკლან მამა მტრებმა,  
რა უნდა ჰქნას, ვინ გაუწევს  
მას ერთგულად მეგობრობას?

ის იტირებს მებრძოლ მამას,  
შურით ასწევს ხელებს მაღლა,  
მაგრამ იგრძობს ძლიერ მალე  
შიშნადა და ძძიმედ დაღლას.

ახ, პატარა მეგობარო,  
როგორ მტკივა გული შენთვის,  
გადავუხდით თქვენს მტანჯველებს,  
თუ საბრძოლველ ველზე შევხვდით.

როდის მოვა დრო სანატრი,  
რომ დაინგრეს წყობა ძველი,  
და ერთმანეთს გადავხვიოთ  
მეგობრული მტკიცე ხელი!

გ. შალვაშვილი.



საკავშირო ფეკრება — ბავშთა კომორგანიზაციების საერთაშორისო ფეკრება

შეკამად მსოფლიო პროლეტარიტი მეთის-მეტად მწვევად აყენებს ნორჩი თაობის თავის გავლენის ქვეშ მოქცევის საკითხს, და მსოფლიო ბურჟუაზიაც ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რომ შეინარჩუნოს თავისი გავლენა პროლეტარულ ბავშვებზე; ამისათვის იგი ფართოდ იყენებს სკოლას და სკოლისგარეშე სხვა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს; ეკლესია, ფაშიზმი, რეფორმისტები, — ყოველივე ეს მძლავრ აპარატს წარმოადგენს ბურჟუაზიის ხელში ბავშთა მასებზე თავისი გავლენის შესანარჩუნებლად. მათ ერთი მიზანი აქვთ: აღზარდონ ნორჩი თაობა კაპიტალიზმის ყურმოჭრილ მონად.

მოახლოვებული პიონერთა საკავშირო შეკრება და ამავე დროისათვის განზრახული ბავშთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ოლიმპიადი და შეკრება ბავშთა მასების დასაპყრობად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების უმაღლესი გამოხატულებაა.

საკავშირო პიონერთა შეკრება არა მარტო საბჭოთა კავშირის პიონერთა შეკრებაა, — ფაქტიურად ეს იქნება, როგორც წინა ნომერში ვწერდით, ბავშთა კომორგანიზაციების საერთაშორისო შეკრება. ამას ამტკიცებს ის უდიდესი გამოხმაურება, რომელიც გამოიწვია პიონერთა შეკრების იდეა და ამ შეკრებაზე იმ ქვეყნების პროლეტარულ ბავშთა დელეგაციების გაგზავნამ, სადაც არსებობენ და მუშაობენ ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციები.

მოწინააღმდეგეთა აშკარა იმპერიალისტური და პაციფისტური შეკრებისა და ოლიმპიადის ფონზე, საერთაშორისო წითელი დღის ჩასაშლელად ბურჟუაზიის გააფთრებული იერიშების ფონზე კაპიტალისტური ქვეყნების

ბავშთა კომორგანიზაციები ემზადებიან, რომ თავისი დელეგატები გამოგზავნონ ჩვენში, საბჭოთა კავშირში კი მზადება შეკრებისათვის ტარდება ს. ს. რ. კ. დაცვის საქმისათვის პროლეტარული ბავშვების მხრივ ერთგულების გამოცხადების ნიშნის ქვეშ. ეს უდიდესი პოლიტიკური მომენტი საერთაშორისო ბავშთა კომორგანიზაციის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის პიონერთა ეს პარკული შეკრება, გარდა მის წინაშე მდგარი სხვა ამოცანებისა, უნდა გადაიქცეს პიონერორგანიზაციების ინტერნაციონალურ

რი აღზრდის უდიდეს საშუალებად, რომელმაც უნდა დაახლოვოს და მტკიცედ დააკავშიროს არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის პიონერები, არამედ მკვიდრი საძირკველი უნდა ჩაუყაროს საზღვარგარეთიდან ჩამოსულ პიონერთა დაახლოვებას საბჭოთა კავშირის პიონერებთან. სწორედ ამაში მდგომარეობს შეკრების ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელმაც უნდა დასტოვოს წაუშლელი ინტერნაციონალური კვალი ყველა ქვეყნის პიონერორგანიზაციების მუშაობასა და განვითარებაში.

საზღვარგარეთის ბავშთა კომორგანიზაციების ბედი მკვიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის პიონერორგანიზაციის განვითარებასთან.

საბჭოთა კავშირის პიონერორგანიზაცია ყოველთვის ეშველებოდა და კვლავ მიეშველება საზღვარგარეშე ბავშთა კომორგანიზაციებს მუშაობასა და ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის პიონერები თავისი მიღწევებით, გამოცდილებით და შესაძლებლობით ამხნეებენ საზღვარგარეშე ბ. კ. ორგანიზაციებს

და მათ მუშაობას ახალ ბიძგებს აძლევენ. საბჭოთა კავშირის პიონერთა ორგანიზაციის განვითარების ყოველი სიძნელე და დაბრკოლება ასეთსავე გავლენას ახდენს საზღვარგარეშე მოძმე ორგანიზაციების განვითარებაზე.

აი რატომ ნიშნავს საკავშირო პიონერთა შეკრება არა მარტო ახალი ეტაპის

დასაწყისს, საბჭოთა კავშირის პიონერორგანიზაციის ახალ უდიდეს მიღწევას, არამედ უდიდეს სტიმულს საზღვარგარეშე ბავშთა კომორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებისა და მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლების საქმეში.

მოახლოვებული კლასობრივი ბრძოლის უდიდესი შეტაკებების ფონზე საბჭოთა კავშირის პიონერთა შეკრება ნიშნავს საერთაშორისო პროლეტარიატის სასტიკ იერიშებზე გადასვლას მოზარდი თაობის თავისი გავლენის ქვეშ საბოლოოდ მოქცევისათვის.



შეკრებაზე მოდიან.



ა/კ. ოიოსე უთა შეკრების ძტაბი ტობიჟსაბე.



# ამიერკავკასიის პიონერთა პირველი შეკრებები



1. პიონერ-ფანდარს ჯების შტანგი; 2. შეკრებაზე ჩამოსული პიონერები; 3. გაზეთის კითხვა საერთო საცხოვრებელში; 4. თავისუფლების მოედანზე შეკრების გახსნის დღეს; 5. აზ. მარიამ ორახელაშვილი, კასიანი, იონოვი, გავრიში და რუბენი შეკრების ტრიბუნაზე; 6. ორთქლმავალს აკეთებენ გამოფენისათვის; 7. შეკრების შტაბის უფროსი ტანია გავრიში პიონერულ ჟრკასთან; 8. ნორვეგიელი პიონერი ქალი ნუსე ლერსენ (X) მიესალმება შეკრების დედეგატებს. 9. რადიოაპარატურის განყოფილება პიონერულ გამოფენაზე; 10. ხელგარჯილობის კუთხე ამიერკავკასიის პიონერთა შეკრების გამოფენაზე.





# მამის ანდერძი

შუალამეა. სერგოს არ სძინავს, ის თავჩაქინდრული მისჯდომია ბუხარს და ფიქრებს გაუტაცნია. ხვალ ხომ სკოლაში უნდა წავიდეს, ისწავლოს, სურს ამხანაგებთან თამაშიც, მაგრამ ის ხომ მოკლებულია ამ ბედნიერებას, ის ამხანაგებს გარიყული ჰყავთ, მასთან არც კი ლაპარაკობენ, რადგან იმათსავე არ აცვია ტანთ, იმათი მშობლები „დიდი“ კაცებია და სერგოს მამა კი უბრალო მუშა.

სერგოს მამას საშუალება არა აქვს, რომ „დიდკაცებს“ აჰყვეს, მათსავეთ მორთოს თავისი ცოლშვილი.

მხოლოდ სამი თვეა, რაც სწავლობს სერგო, და ექვსჯერ გამოაბრუნეს სკოლიდან სასკოლო გადასახადისათვის. რცხვენოდა ბავშს წამდაუწუმ ფულის თხოვა შინ, რადგან იცოდა, რომ მშობლებს პურის ფულიც კი არ ჰქონდათ. სასწავლო ოთახში შესვლისთანავე მასწავლებელი ჰკითხავდა მას:

„აბა, შენ, მოიტანე ფული? თუ არ მოგიტანია, მოკიდე წიგნებს ხელი და გასწი შინ ჩქარა“. სერგოც უხმოდ წამოდგებოდა და ნაღვლიანი თვალებით გადახედავდა ამხანაგებს, როგორებიც ხარხარობდნენ და დასცინოდნენ.

\* \*

სერგო უცბად შეტოვრტმანდა, თავი მალლა ასწია და დედას გადასახა:

— დედი, დედილო, გაიღვიძე, მამა ამაღამ არ მოვა?

— როგორ არა, შვილო, მოვა, ამდენიც არ უნდა დაგვიანებოდა, მაგრამ ალბათ რაიმე შეემთხვა. კარგი, შვილო, გეყოფა ამდენი ლოდინი, ადექი და ლოგინში ჩაწეკი. დილით ადრე უნდა ადგე, სკოლაში წასასვლელი ხარ, ხომ იცი.

ამ დროს კარი გაიღო და აღელვებული შემოვარდა სერგოს მამა, სასწრაფოდ გადაკეტა კარი: — ჩქარა, შვილო, ლამბას დაუწიე. რატომ არ გძინავთ? ამაღამ თუ ვინმე მოვიდეს ჩვენსას, ასე სთქვით, ჩვენ დიდი ხანია გეძინავს-თქო.

სერგო მამას თვალს არ აშორებდა. ყოველგვარ მის მიხვრა-მოხვრას ყურადღებით ეპყრობოდა და თანაც შეამჩნია, რომ მამამისმა რაღაც წითელი ნაჭერი ამოიღო უბიდან და დამალა. „ნეტავ რისთვის უნდა მამას წითელი ნაჭერი, იქნებ ჩემი სახალათეა, ან დედასი? თუ ჩვენია, რისთვის არ მოგვცა და დაგვიმალა? — ეკითხებოდა სერგო თავის თავს.

## II.

დილით ადრე საყვირის ხმაზე მუშათა უბნები იღვიძებს, ფუსფუსით მიეჩქარებიან მუშები სამსახურისაკენ; მაგრამ დღეს საყვირის ხმაც საჭირო არ არის მათთვის, მასზე უფრო ადრე გაიღვიძეს და ძლიერ ჩქარა მიეშურებიან ქალაქგარეთ ერთ-ერთ დანიშნულ უბანში, სადაც რამდენიმე ათასი მუშა უკვე თავმოყრილი იყო.

ამ ამბავმა ქალაქის პოლიცია ფეხზე დააყენა, მან მოგროვილ მუშებს ალყა შემოარტყა. თვით ქალაქში შემჩნეულ პირებს დაუწყეს ძებნა ოჯახებში, მაგრამ შინ არავინ არ დაუხვდათ.

სერგო ამ დროს ღრმა ძილში იყო და ვერაფერს გებულობდა, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა მას წიხლი ჩაართყა გვერდში და უთხრა: „გაიღვიძე, შე ძაღლის ლეკვო, სად არის მამაშენი? სთქვი მალე, სთქვი მეთქი“. სერგო ათრთოლებულ ტუჩებს აცმაცუნებდა და შიშით ენა ვერ შეებრუნებინა ხმალომოწვდილი პოლიციელისათვის.



აგერ სერგოს დედაც ააკივლეს, აწვალეს, მაგრამ მაინც ვერაფერი გაიგეს,

უკვე დილის ათი საათი იქნებოდა, რომ ქალაქის გარეთა უბნიდან მოისმა მარსელიეზის ხმა,

მშრომელი მასის ყიჟინა ჰაერს არღვევდა, ისინი მოითხოვდნენ სამუშაო დროის შემცირებას, ხელფასის გადიდებას და თვითმპყრობელობის დაშლას.

პოლიცია დიდ ენერგიას ხარჯავდა მუშების დასაშლელად, მაგრამ მისი ცდა უნაყოფო იყო, ისინი უფრო გამხნევდნენ პოლიციის დანახვაზე და მკუხარე ხმით გაიძახოდნენ:

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადამ-წესებს,

— მამა, მამილო, — შეჰყვირა სერგომ და მამის წინ მუხლი მოიყარა.

სერგოს მამამ შვილის ხმაზე თვალები გაახილა.

— ოჰ, სერგო, შვილო, აქ რა გინდა... მაგრამ კარგია, შვილო, რადგან სიკვდილის დროს აქა ხარ და ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვის მოწმე ხდები... შვილო, ყური მიგდე, ერთ რამეს გავალებ: აი ეს მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელი წითელი დროშაა და ეცადე როგორმე, ამ ჩვენ სისხლისმსმელებს არ ჩაუგდო ხელში აბა, შვილო, დაიჭი, გაბარებ მშრომელების წითელ დროშას და ვიმედოვნებ, რომ მოუვლი მავას და შეიყვარებ ისე,



ვარჯიში პიონერთა ბანაკში.

ჩამოვიბერტყოთ ფეხზე მის მტკერი“...

ასე სიმღერით გაეშურნენ მოედნისაკენ, სადაც მისვლისთანავე სერგოს მამა სწრაფად შეხტა მალეობადგილზე წითელი დროშით ხელში და დაიძახა:

— ამხანაგებო! კმარა ამდენი ღუმილი, სიმშინი, სიცივე, სიღატაკე, დამცირება! ძირს უსამართლო მთავრობა, ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს მუშათა კლასს, რომელსაც საკუთარი მარჯვენა მოუპოვებს თავისუფლებას!

გაისმა მუშების ყიჟინა, რასაც მსწრაფლ მოჰყვა თოფის გრიალი. უიარაღო მუშებს შეუბრალებლად დაუშინა პოლიციამ ტყვია, მაგრამ ხალხი მაინც არ დაიშალა. სერგოს მამა უფრო მხნედ და აღელვებული, წითელი დროშის ფრიალით გაიძახოდა: „ძირს მუქთახორები, მშრომელი კლასის სისხლის მსმელები“... აქ კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ აღარ დაცალეს და დაჭრილი ძირს გაიშხლართა.

III.

სერგო, თითქოს წინდაწინ გრძნობდა მამის უბედურებას, სახლში არ დადგა, გამოექანა მოედნისაკენ, საიდანაც თოფების ხმა ისმოდა, სადაც დაჭრილი, ძლივს მსუნთქავი მამა ნახა, რომელსაც წითელი დროშა გულში მაგრად ჩაეკრა.

როგორც მე მიყვარდა და ვუვლიდი. სერგო, შვილო..

— აქ კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ შესძლო და ამოხდა სული.

— მამა, მამილო! — მივარდა სერგო, შეანჯღრია, უნდოდა გონს მოეყვანა, მაგრამ უკვე გვიან იყო. „მამილო, ფიცსა ვდებ შენი უსულო გვამის წინაშე, პირნათლად შევასრულებ შენს დავალებას!“ — უცბად წამოხტა, აქეთ-იქით გაიხედა და რა დაინახა მისკენ მომავალი პოლიციელები, დროშა საჩხაროდ უბეში ჩაიმალა და გაიქცა. პოლიციელები უკან დაედევნენ, რადგან საექვო პირად იცვნეს იმ ბრძოლის დროს ბავში და დაიჭირეს, წაიყვანეს უფროსთან.

უფროსი ამ დროს თავის კაბინეტში დორბლებს ჰყრიდა, ისე იყო გაბრაზებული. ბავში დაინახა თუ არა, მივარდა და შესძახა:

— ვისი ხარ, ლეკვო?  
— არა, ძია, მე ლეკვი კი არა, ბავში ვარ, — მიუგო სერგომ.

— ვინ არის მეთქი, არ გესმით?  
— გვესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ეს ბავში მოედანზე მორბოდა და, როგორც არასაიმედო პირი, დავაპატიმრეთ და მოგგვარეთ.



გაბრაზებული უფროსი ხელების მტკრევით ბოლ-  
თასა სცემდა. უცბად მივარდა სერგოს, სწვდა  
უბეჭე იმ ადგილს, სადაც წითელი დროშა ჰქონდა  
დამალული, ამოიღო სასწრაფოდ და ერთი მაგარი  
სილა გააწნა ბავშს, შემდეგ ხელი წაივლო რევოლ-  
ვერზე და ის-ის იყო უნდა დაეხალა, რომ თოფ-  
მა დაიგრილა და მისი ოთახის ფანჯარა ჩაიღეწა.  
უფროსი უცბად შემოტრიალდა, წითელი დროშა  
მაგიდაზე დაადო და ხელში რევოლვერი მოიმარჯვა.  
მივარდა ფანჯარასთან, რომ გაეგო ეზოში რა ამბავი  
დატრიალდა, მცველები კი დაფეთებულები გამო-  
ცვივდნენ გარეთ უბედურების თავიდან ასაცილებ-  
ლად. მუშათა რაზმებს კი ამ დროს პოლიციელთა  
სახლისთვის ალყა შემოეგრტყათ.

ისმის სროლა, მშრომელთ ყიყინა, სიტყვები:  
„ძირს უსამართლო მთავრობა!“ და სხვა. პოლიცი-  
ელების უფროსი გიყვივით დარბის თავის ოთახში,  
შიშით გარეთ ვერ გამოსულა. მშრომელი მასის ყი-  
ყინა კი თანდათან ახლოვდება. სერგო ყიყინის ხმამ  
გაამხნევა, უნდა დაიყვიროს „გაუმარჯოს თავისუფ-  
ლებას!“ — მაგრამ ვერ ბედავს, ეშინია. უფროსი  
ცოფიანი ძაღლივით დარბის. „ბუჰ“ — გაისმა თო-  
ფის ხმა და ჩაიღეწა მეორე ფანჯარაც. პოლიციე-  
ლების უფროსი შეშინდა, ხელი აუკანკალდა და  
რევოლვერი ხელიდან გაუვარდა. ის სასწრაფოდ მი-  
ვარდა ფანჯარასთან, რომ დაენახა, გზა საით იყო

გასაქცევი. ამ დროს ბავშმა დრო იშოვა, მივარდა  
რევოლვერს, სტაცა ხელი, აიღო მაგიდიდან დროშა  
და უკვე თამამად დაიყვირა:

— ხელები მაღლა, მუშების სისხლით გაბე-  
რილო, დადგა შენი აღსასრულის დღე!

უფროსი დაიბნა, აქეთ სერგო გაუხდა მტერი  
და იქიდან რევოლუციონერები.

— მესროლე, რევოლუციონერების ხმლებით  
აკუწვას მირჩვენია შენი ხელით მომკლა.

— არა, შენ ტყვიის ღირსი არა ხარ, უნდა იტან-  
ჯო ისე, როგორც სხვას სტანჯავდი.

— ვაშააა! — გაისმა რევოლუციონერების მქუ-  
ხარე ხმა და შემოცვივდნენ უფროსის ოთახში.

— გაუმარჯოს თავისუფლებას! — დაიყვირა წი-  
თელი დროშით და რევოლვერით ხელში მდგომმა  
სერგომ. — მე ვასრულებ მამიჩემის დაჯალბას და  
გაძლევთ მის მიერ გადმოცემულ წითელ დროშას.  
მოუარეთ ისე, როგორც მას შეეფერება.

რევოლუციონერები აღფრთოვანებით მიცვივ-  
დნენ სერგოსთან დროშის ჩამოსართმევად, მაგრამ რა  
დანიახეს მამის მაგივრად სერგო, რომელიც მხნედ და  
გაბედულად ლაპარაკობდა ყოველივე იმას, რაც მამამ  
დაუბარა, რევოლუციონერებმა უცებ თავი დახარეს  
წითელი დროშის ქვეშ და აღუთქვეს ბავშს ყოვე-  
ლივეს შესრულება.

სტამბის მუშა შალვა ესებუა.

## წ ე რ ი ლ ი

(ფშაველი პიონერებისა ბარელი პიონერების მიმართ).

დღემდე საწყალი ჩენი მშობლები  
ნადირებივით მიმოდიოდნენ.  
ქისტი, ფშაველი, — ორნივე ერთმანეთს  
შურისძიებით ემუქრებოდნენ.

ჩენი მშობლებიც ამას გვიხსნიდნენ,  
ქისტუბის სისხლის უხვად დაღვრასა,  
ხოლო გაზრდამდე მოგვიშზადებდნენ  
ხმალს, ხანჯალს, ჩაჩქანს, ფოლადის ფარსა...

მაგრამ როდესაც იმ ძველ ცხოვრებას  
ხალხი მრისხანედ შეეკამათა,  
იმ გამარჯვების სხივ-ელვარებამ  
ბარიდან მთებშიც გადმოიანათა.

და სწავლის შუქმა შემოირბინა  
ჩამოთოვლილი მთა და ხეობა,  
დღემდე უსწავლელ მთიელთა შვილებს  
მოგვცა სწავლაში დიდი მხნეობა...

დღეს ჩვენც თქვენებრივ მწყობრად დავდივართ,  
სადაც და-ძმურად ყველა ვიზრდებით;  
რა აღვიზრდებით, ჩვენს დამჩავერელებს  
ძირს დასამხობად დავემუქრებით...

დღეს ჩვენც გვეღირსა პიონერობა,  
ნადირებივით, მცხოვრებლებს მთებში,  
თქვენებრ დავიწყებთ ახალ ცხოვრებას,  
როს აღვიზრდებით კოლექტივებში...

აქაც ვატარებთ წითელ ყელსახვევს,  
დავალთ საყვირით, წითელ აღმებით...  
კავკასიონის კლდიან მთებიდან  
ბარად და-ძმურად მოგესალმებით!..

ზ. დოლიაშვილი.



# ა.კ. პიონერთა პირველი შეკრება.

## შეკრების მიზანი.

ახალი თაობის ინტერნაციონალურად აღზრდისათვის საჭიროა მასზე ხელმძღვანელობის გაძლიერება; ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე არ არის, ბოლო ხანებში შემჩნეულია პიონერთა ორგანიზაციებში ნაციონალური შულის გაღვივება, რაც აიხსნება მშობელთა გავლენით ბავშვზე. შეკრებამ მიზნად დაისახა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო ზომების მიღება. გარდა ამისა, შეკრების მიზანი იყო გაეძლიერებია საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება ბავშვთა მოძრაობისადმი. შეკრებაზე ნათლად გამოაშკარავდა ყოველი ის ნაკლი და მიღწევები, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას ახასიათებდა და უარყოფითი მხარეების მომავალში გამოსასწორებლად დაისახა სათანადო გზები და ამოცანები.

## სამი რესპუბლიკის ბავშვები.

სამ აგვისტოს ტფილისს ეწვიენ სამი რესპუბლიკის პიონერები. სომხეთში და აზერბეიჯანში ამიერკავკასიის პიონერთა პირველ შეკრებაზე გამოგზავნეს მზისგან და მწვარი, ბრინჯაოს ფერი, მხიარული გამოიქყვანეს და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები. მეზობელი რესპუბლიკებთან და სხვადასხვა მანქანებთან ჩამოსულ სტუმრებს ტვილისელი პიონერები ხალასით ხელგაუფენ; დღე-გაღვიძარს რიგზე 635 კაცს გადააჭარბა, რაც წინასწარ განსაზღვრული იყო. სამი რესპუბლიკის დროშების ფრიალით ჩაიარეს სტუმრებმა პლეხანოვისა და რუსთველის პროსპექტებზე. სტუმრები ყოველდღე ათვალერებდენ ა/კ. მაჯისკემის გამომხატველ ტფილისს.

**თავისუფალი ვარჯიში.** 4 აგვისტოს სამი რესპუბლიკის პიონერები ერთმანეთს შეხვდენ ლენინის სახელობის სტადიონზე. ტფილისელმა პიონერებმა სტუმრების საპატივცემოდ მოაწყეს თავისუფალი ვარჯიში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე პიონერმა. პიონერების მწყობრი მწყობრები დაეწყენ სტადიონზე. ვარჯიში დაიწყო დილის 10 საათიდან და გასტანა ნაშუადღევის 1 საათამდე. მზისგან დამწვარი და გარუჯული კუნთები საუცხოვოდ იხრებოდა ორკესტრის ხმაზე. შესრულებულ იქნა რამდენიმე თავისუფალი ვარჯიში, რის

დამთავრების შემდეგ პიონერები ჯგუფ-ჯგუფად დაიძრენ ბინისაკენ.

**შესაკრებ პუნქტზე.** ტფილისის ქუჩებში გაისმის პიონერთა დაფის ხმა. შეკრებაზე მონაწილეობის მისაღებად რაიონებიდან იძვრიან პიონერთა მწყობრი მწყობრები; სიცოცხლით სავსე სახეები ამბობს, რომ მოდის თაობა კომკავშირელთა და ბოლშევიკთა შესაცვლელად. პიონერები მოგროვდენ დანიშნულ დროს. გაისმის მხიარული სიმღერა, ფრიალებს დროშები. სრულ ორ საათზე დაიძრენ რაიონებიდან და თავი მოიყარეს ყოფილი საშხედრო ტაძრის ეზოში. საღამოს ოთხ საათზე აქედან გაემართენ რუსთველის პროსპექტზე. უამრავი დროშის ფრიალით მიემართებოდენ მათი მწყობრი რიგები თავისუფლების მოედნისაკენ. ერთ ხაზში ჩამწყობრივული პიონერები ორივე მხრიდან ავლიდენ რუსთველის პროსპექტს და გამალებით მიეშურებოდენ დანიშნული ადგილისაკენ, სადაც ალლუმის მისაღებად მათ ელოდა პიონერთა ა/კ. შტაბი და მთავრობის წარმომადგენლები. თავისუფლების მოედანზე სათანადო დროშებითა და პლაკატებით მორთული ტრიბუნა იყო აღმართული. ალლუმს იღებს ა/კ. პიონერთა შტაბი და მთავრობის წარმომადგენლები. ტრიბუნაზე არიან პ/ორგანიზაციის პასუხისმგებელი ამხანაგები. მიმავალ პიონერებს სიტყვებოთ მიმართავენ **ამხ. კასიანი, მარიამ ორახელაშვილი, რუბენი, ა.კ. მახათაძე, ტ. გავრიში** და სხვები.

**დროშის გადაცემა.** ა/კ. მთავრობის სახელით პიონერებს დროშა გადასცა **ამხ. კასიანი**, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ ა/კ. პიონერთა პირველ შეკრებას ტფილისში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამი რესპუბლიკის ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის განვითარებისათვის. პიონერები, რომელნიც ჩვენს შესამე თაობას წარმოადგენენ, ახლო მომავალში ბრწყინვალედ დაავიჯებენ მამებისა და უფროსი ძმების მიერ დაწყებულ საქმეს სოციალისტური მშენებლობის ალორძინებისა და ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის. **ამხ. კასიანის** სიტყვებს პიონერები ყიჟინითა და ორკესტრის გუგუნით შეხვდენ. ალლუმმა ღამის 9 საათამდე გასტანა.

# ამიერკავკასიის პიონერთა პირველი კონფერენცია

7 აგვისტოს რუსთველის თეატრის დარბაზში გაიხსნა ამ.-კავ. პიონერთა პირველი კონფერენცია. დარბაზი მორთულია დროშებითა და პლაკატებით.

კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამ.-კავ. ბ.კ.ო. ბიუროს თავმჯდომარე **ამხ. გავრიშმა**.

**ამხ. გავრიშმა** განაცხადა: ამ.-კავ. პიონერთა მუშაობაში პირველი შემთხვევაა კონფერენციის მოწვევა; ამიტომაც დღევანდელ ჩვენს აქ შეკრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენმა კონფერენციამ ჯამი უნდა გაუკეთოს ჩვენს განვლილ მუშაობას, აღნუსხოს ყველა ნაკლი და მიღწევა და დასახოს ახალი გზები და ძეთოდები მომავალი გეგმიანი მუშაობისათვის.

**ამხ. გავრიშის** სიტყვის და საპატიო და საქმიანი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, კონფერენციას ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის სახელით მიესალმა ოლქკომის მდივანი **ამხ. მამია ორახელაშვილი**.

## ამხ. მ. ორახელაშვილის მისასალმებელი სიტყვა

საქ. კომპარტიის ამ.-კავ. საოლქო კომიტეტი მხურვალედ ესალმება ნორჩი თაობის პირველ კონფერენციას. ჩვენი მესამე თაობა უნდა გაიზარდოს, დაევაკაცდეს ოქტომბრის დროშის ქვეშ, განამტკიცოს ეს დროშა ჩვენს ქვეყანაში და შემდეგ გაშალოს ის მთელ მსოფლიოში. ეს არის მეტად რთული საქმე, რომლის შესრულება ახალმა თაობამ უნდა შესძლოს გამობრძმედილი რევოლუციონერების გამოცდილებათა გამოყენებით. ჩვენი წინსვლა მომავალში დაკავშირებულია კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლასთან, ხოლო ამ ბრძოლის გზაზე ჩვენმა ნორჩმა თაობამ თამამად უნდა ატაროს რევოლუციონერული სულისკვეთებით გაუღენთილი, მუშებისა და გლეხების სისხლში განზანდილი დროშა.



არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად საკმაო ნაკლიც გვაქვს. საჭიროა შემდეგშიც ახალი თაობა, როგორც წინათ, დაგვეხმაროს ამ ნაკლთა გამოსწორებაში.



ამხ. მამია ორახელაშვილი.

ჩვენ ბევრი მტერი გვყავს როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც, რომლებიც ხელს გვიშლიან სოციალისტური მშენებლობის საქმეში და ცდილობენ კაპიტალისტებისა და მემამულეთა მთავრობის დაბრუნებას. ამასთან ერთად ჯერ კიდევ მოიპოვება ბურჟუაზიული და ანტისაბჭოთა პარტიების ნამსხვერვეები, რომლებიც დაკავშირებული არიან როგორც ჩვენი ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიასთან, ისე საერთაშორისო ბურჟუაზიასთან, რომ როგორმე ძირი გამოუთხარონ გამარჯვებული მუშათა კლასის ბატონობას საბჭოთა კავშირში.

თქვენი კონფერენციის ამოცანაა — განსაკუთრებული ანგარიში გაუწიოს ამ მდგომარეობას და ძველი ბრძოლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დასძლიოს ყველა ეს სიძნელე.

უფრო მხნედ, ლენინიზმის ცოდნით აღჭურვილებმა, დავძლიოთ და გადავლახოთ ყველა დაბრკოლება.

კონფერენციის დელეგატებმა ამხ. ორახელაშვილს ოვაციები ვაუმართეს.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ამ.-კავ. ცაკის სახელით თურქულ ენაზე მიესალმა ამხ. ტაგევი, აგრეთვე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ „26 კომუნარის“ სახელობის ქარხნის მთავარი სახელოსნოს, ტრამვაის პარკის და გროზნის ფიზკულტუროსანი მუშების წარმომადგენლები.

მისალმების შემდეგ ამიერკავკასიის პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ კონფერენციამ მოისმინა:

**ამხ. გავრილის მოხსენება**

პიონერთა ორგანიზაცია მუშაობას აწარმოებს არა მარტო პიონერთა შორის, არამედ უპარტიო ბავშვთა შორისაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ჩვენს რიგებში არ მოიპოვებიან. ყველამ კარგად იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ.-კავკასიაში, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ბავშვთა

საშინელი ექსპლოატაცია წარმოებდა. ისინი მოცილებული იყვნენ სკოლის კედლებს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დასარების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, იხსნება ახალ-ახალი სკოლები ქალაქად და სოფლად, რის გამოც არცერთი პიონერი არაა დარჩენილი სკოლის გარეთ. ამასთანავე ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას, იხსნება ბავშვთა სანატორიუმები, ბავშვთა საავადმყოფოები, ეწყობა პიონერთა გასვლა ბანაკად და სხვა.

ჩვენს ამოცანას შეადგენს არსებული სკოლები გადავაეთოთ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებად, შრომის პრინციპის სიზუსტით დაცვის ნიადაგზე.

მუშაობის განვლილ პერიოდში პიონერთა ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასკოლო მშენებლობას, მომავალში კი ეს გარემოება არსებითად უნდა შეიცვალოს.

როგორც გამოირკვა, ბოლო ხანებში პიონერთა ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტური მშენებლობის საქმეში; მათ ჩატარეს კულტურული ლაშქრობა, მონაწილეობა მიიღეს თესვის კამპანიის ჩატარებაში, მოაწყეს შაბათობები, სოფლად გაიყვანეს არხები და სხვა. ყველაფერი ეს იმის თავდებოა, რომ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა უკანასკნელ ხანებში თავის სიმაღლეზე იდგა.

ამჟამად ამიერკავკასიაში იმყოფება 1.115.000 ბავშვი, ხოლო ჩვენი ორგანიზაცია კი აერთიანებს 230.000 ბავშვს. საჭიროა მომავალში ენერგიული ზომები მივიღოთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია როგორც თვისობრივად, ისე რიცხობრივად საკმაოდ გაიზარდოს.



ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი. საუბარი შეკრებაზე.

ამხ. გავრილის მოხსენების შემდეგ, აზერბეიჯანის პიონერთა დელეგაციამ შემოიტანა წინადადება, რომ შეკრების აღსანიშნავად აგებულ იქნას თვ თმფრინავი „ამიერკავკასიის პიონერი“-ს სახელწოდებით. ამ წინადადებას კონფერენციის მთელი შეადგენლობა მხურვალედ შეხვდა და მიღებულ იქნა ერთხმად.



ამხ. გავრიშის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბაქოს, ერევნის, ტფილისის, ნახიჩევანის, განჯის, აფხაზეთის და აჭარისტანიის დელეგაციების წარმომადგენლებმა. მოკამათენი უმთავრესად ეხებოდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობას. აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანება: ნაკლები ყურადღების მიქცევა ჯანმრთელობის დაცვისამდმი, სპორტიული ვარჯიშის წარმოებისათვის იარაღის უქონლობა, კულტურული მუშაობის თავის დონეზე დაუყენებლობა და მრავალი სხვა. ორატორები კატეგორიულად მოითხოვდნენ არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად გადამჭრელი ზომების მიღებას გარდა პიონერებისა, კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. შავერდოვმა.

თქვენს კონფერენციას, — მიმართა ამხ. შავერდოვმა პიონერებს, — შეუძლია დიდი საქმე ჯაკეთოს ა/კ. ბავშთა კომმოდრობის საქმეში; — თქვენმა კონფერენციამ უნდა აღწესდეს ყოველივე ნაკლი, რომელიც განვიღო მუშაობას ახასიათებდა, და დასახოს გზები მომავალში მის გამოსასწორებლად. თქვენ ამჩნევთ ვან ხეავენას აღზრდის საქმეში კოლექტივსა და ოჯახს შორის, კოლექტივში ყველანი მეკობრულად მუშაობთ, სახლში კი სულ სხვას ხედავთ, თქვენი მშობლები ხშირად პატარა გოგონებს არ უშვებენ კოლექტივში და ვაჟებთან გავლასაც უშლიან, კოლექტივში თქვენ მუშაობას აწარმოებთ, მშობლები კი რელიგიურ დღესასწაულებს იხდიან. თქვენ უნდა დაისახოთ მიზნად ამ წიაღმდეგობათა მოსპობა.

ამხ. შავერდოვის სიტყვის შემდეგ გაიმართა პიონერთა შემოქმედებითი საღამო. კამათი მეორე დღესაც გაგრძელდა; თამამად აკრიტიკებდნენ ცენტრალური ბიუროს მუშაობის უარყოფით მხარეებს და მიუთითებდნენ მომავალში მის გამოსწორებაზე.

შემდეგ მოსმენილ იქნა გავრიშის საბოლოო სიტყვა, რომელმაც განაცხადა, რომ პიონერთა ორგანიზაცია საკმაოდ გაიზარდა თავისი საქმით და ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მომავალში ამ მიღწევების შესანარჩუნებლად. ამხ. გავრიშის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მიიღო „ნაკაზი“ ა/კ. პიონერთა ცენტრალური ბიუროსაგან. პიონერების საქმიანი წინადადებების შემდეგ აირჩიეს დელეგატები საკავშირო შეკრებაზე.

შეკრებაზე დელეგატებად საქართველოდან გაიგზავნება 145 პიონერი, აზერბეიჯანიდან 145 და სომხეთიდან 100. დელეგატებს შეკრებაზე თან გაჰყვება ა/კ. შეკრების შტაბის მთელი შემადგენლობა: სამი ექიმი, ფიზკულტურის ინსტრუქტორები და პიონერკოლექტივის ხელმძღვანელები.

**ნორვეგიის პიონერთა დელეგაცია ტფილისში**

9 აგვისტოს საღამოს სამი საათიდან ტფილისის რკინის გზის სადგურისაკენ მოდიოდნენ დელეგატების მწკრივები ნორვეგიის პიონერების შეახვედრად. ყველას უნდა ნახოს ნორვეგიელი ამხანაგები, ესაუბროს მათ ანტერესებს მათი ყოფა-ცხოვრება, მუშაობის ფორმები და სხვა.

ხუთ საათზე მატარებელი ქშენით მივიდა სადგურში. ნორვეგიელი პიონერები ფანჯრიდან იცქირებიან. პიონერები გამწვრივდნენ თავისი სასულე ორკესტრით და მხურვალედ შეეგებნენ სტუმრებს. ნორვეგიელი პიონერების სახელით ა/კავასიის პიონერებს მხურვალე სალაში გადასცა დელეგაციის წევრმა, 13 წლის ქალმა. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ა/კ პიონერთა შეკრების წარმომადგენლები. საღამოს დელეგაცია დაესწრო პიონერთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომას და მონაწილეობა მიიღო კარნავალში.

ნორვეგიელ პიონერთა დელეგაცია 4 წევრისაგან შესდგება; მას თან ახლავს საკავშირო შეკრების შტაბის წევრი. 10 აგვისტოს დელეგაცია ესტუმრა ა/კავასიის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კასიანს, შემდეგ დაათვალიერეს ბავშთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სადგური, ზაჭესი და პიონერთა კოლექტივები.

**ნორვეგიის პიონერთა დელეგაციის მისალმება.**

ნორვეგიულ პიონერთა დელეგაციის სახელით ა/კ. პიონერთა კონფერენციას მიესალმა დელეგაციის წევრი ოდ ბერსტენი (13 წლის).

ამხანაგებო, პიონერებო! ნორვეგიის პიონერთა დელეგაციის სახელით მხურვალე საღამს ვუძღვნი ა/კ პიონერთა პირველ შეკრებას. ნორვეგიის პიონერთა ორგანიზაცია ამაჟამად აერთიანებს ორიათას პიონერს, მუშაობის დროს მრავალი დაბრკოლება გველობება წინ. ნორვეგიაში ბევრგან დღესაც ეწვეიან მცირეწლოვან ბავშვების მძიმე ექსპლოატაციას, რომლის წინააღმდეგ მთელი ძალ-ღონით ვიბრძვით.

პიონერთა ორგანიზაციის გავლენა იზრდება მუშებისა და გლეხების შეილებზე დღითიდღე.

გაუმარჯოს ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას!

გაუმარჯოს პიონერთა მსოფლიო ორგანიზაციას და ა/კ. პიონერთა შეკრებას!

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ პიონერები ა/კ. რესპუბლიკებიდან რის შემდეგ

**დარიგებულ იქნება ჯილდოები:**

სამხრეთ ოსეთის პიონერებს „შრომა და ტექნიკაში“ საუკეთესო შემოქმედებისათვის მიეცა 3-ლამფიანი რადიომიმღები.


სომხეთის პიონერებს საუკეთესო ცეკვისათვის მიეცათ აღმოსავლური ორკესტრი — ქამანჩა, თარი და დოლი. ნახიჩევანის პიონერებს „შრომა და ტექნიკაში“ საუკეთესო შემოქმედებისათვის მიეცათ ორი მანდალინა, გიტარა და ბალალაიკა. ქუთაისის პიონერებს „შრომა და ტექნიკაში“ საუკეთესო შემოქმედებისათვის მიეცათ საზენელო ხელსაწყოები. აზერბეიჯანის პიონერებს საუკეთესო სროლისათვის მიეცათ თოფი თავისი მოწყობილობით. პიონერთა სამ კოლექტივს საქართველოდან სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან საუკეთესო კედლის გაზეთებისათვის მიეცა გაზეთის მასალა; ბაქოს პიონერებს მიეცათ „იუნატის“ კაბანეტი, სომხეთის სასულე ორკესტრის ხელმძღვანელ ტერ-მუ აზიანს მიეცა დიპლომი პიონერთა საუკეთესო ორკესტრის შედგენისათვის.

ჯილდოების დარიგების შემდეგ ამხ. გავრიშმა გახსნილად გამოაცხადა ამიერკავასიის ბავშთა ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სადგური, რომელსაც ეწოდა „ა/კ. პიონერთა პირველი შეკრება“.

ამით დასრულდა შეკრება. დელეგატები საკავშირო შეკრებაზე გაემგზავრებიან კვირას, 11 აგვისტოს.



# პიონერთა ნამუშევრების გამოფენა



ამ.კავ. პიონერთა პირველ შეკრებასთან დაკავშირებით, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ბავშთა მიღწევების გამოფენა. სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ პიონერებს გამოფენისათვის თან მოჰქონდათ ნახატები და მოდელები მეცნიერება და ტექნიკიდან, სამეურნეო მიღწევებიდან, გასამხედროებიდან და სხვა დარგებიდან.

გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლენრაიონის პიონერთა დელეგაციის მიერ მოტანილმა ორთქლმავლის მოდელმა, რომელიც თითქოს ხილზე მიემართება, ხილის ქვევით მსუილით მირბის მდინარე, რომლის რეიდზე გაჩერებულია იალქნიანი „გემი“.

არა ნაკლებ ყურადღებას იპყრობს სახეცნობის პიონერთა კედლის გაზეთები, რომელშიაც წერილების

ნაცვლად მოთავსებულია ფოტო-სურათი პიონერთა საქმიანობიდან. მაგ., პიონერების მიერ უვარგისი ქალაქისა და ლითონის ნამსხვრევების შეგროვება, პიონერი ოჯახში და მრავალი სხვა.

კედლის გაზეთებთან ერთად გამოფენილია პიონერთა ხელგარჯილობის ნიმუშები — მაგიდები, სკამები, სურათის ჩარჩოები და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პიონერთა მუშაობა რადიოფიკაციის დარგში. აქ არის რადიომიმღების სხვადასხვა სახეები წარწერით: „ჩაეწერეთ რადიომეგობართა საზოგადოებაში“, „გაზეთი უქალაქოდ და უმანძილოდ“. გამოფენაზე მოწყობილი იყო „ავიაციის“ კუთხე, გამოფენილი იყო ნიმუშები გასამხედროების, მცენარეების და ცხოველების შესახებ.

## კოცონთან

ჩამოწვა ლამე,  
და სძინავს სოფელს...  
მხოლოდ მდინარე  
მორბის და მოჰყვებს.

ნაპირთან ტყეა და  
მანდ არის ვილიც...  
მოჰყვება ლიანდავს  
მატარებელი;

კივილით გადივლის  
შორ გზას, შორ ველებს...  
კოცონი უნთიათ  
ტყეში პიონერებს.

პატარა გოგონა,  
კოცონს რომ მიაგავს,  
მცინარი თვალებით  
გასცქერის ლიანდავს.

ამ მატარებელთან,  
მთებზე თუ ბარადა,  
მიქრის გოგონას  
პატარა ბარათი:

„დედიკო, კარვად ვარ,  
ვიქცევი ჭკვიანად...  
ვიქნები ბანაკად,  
თუ დამაგვიანდა“.

ო, რა ლამაზია,  
რა სანახაობა,  
კოცონთან შეყრილი  
მესამე თაობა.

ცეცხლი ჩვენ გვდარაჯობს,  
ჩვენც ცეცხლად ვიზრდებით.  
მკლავი რომ გავშალოთ,  
მარად მზად ვიქნებით.

## პიონერთა გან' კუთ.

როს მზით შეიმოსებით,  
ღრუბლებს გადადენის მთა;  
მოგავს თქვენი ბანაკი  
ბუდეს შევარდენისა.

იმედებით სავეს ხართ,  
სიხარულით მოლელავთ...  
ვერძნობ: პატარა მკერდს და მხარს  
გრივალს არ დაუმალავთ.

დღეს სხვარიგ იწყო რხევა  
ალისფერმა ალამმა,  
როს პატარა მუსტათას  
ლექსო მიესალამა,

როს ურყევი დადევით  
ფიცი—ბრძოლის პირობა,  
და როს ხედებით ერთმანეთს  
საბჭოდ, სათათბიროდა.

ამბობთ: გზები ერთი გვაქვს,  
ყველამ ერთად ვიაროთ...  
ჩვენც მამების შრომა და  
ბრძოლა გავიზიაროთ.

ვიშრომით, რომ ქარხნების  
ცეცხლი უფრო ბოლავდეს,  
რომ ეს მკერდი, ეს მკლავი,  
რწმენაც გაგვიფოლადდეს.

და ჩვენც—კუზმა, გოგია,  
ოვანეს თუ მურადა,  
შევხვდეთ ყოველ დღის მოსვლას  
მედგრად, ლენინურადა.



# სოსუარი სვების კვანძაუი.

საქართველო  
საბჭოთაო

ზაფხულზე საშინლად ცხელა მოსკოვში, თანაც ეს-  
ეს არის წავიკითხეთ წიგნი „უსურის მხარის ტევრებში“  
ესხედვართ კლუბში და გვეზარება საზამთრო მუშა-  
ობის შედეგების შესახებ რგოლის კედლის გაზეთის გა-  
მოშვება.

— ეხ, წავსულიყავით სადმე ქალაქგარეთ, — სთქვა  
ვასომ, კედლის გაზეთის რედაქტორმა; სულ ამ თემის შესა-  
ხებ ვლაპარაკობთ. უმთავრესი ისაა, რომ ფული არ გვაქვს.  
ვასო კი გვარწმუნებს, თუ მოვიკიდებთ ამ საქმეს ხელს, მა-  
შინ შესაძლებელი იქნება ფულის შოვნაცო. და, აი, გა-  
დავწყვიტეთ კარელიაში წასვლა.

დაბა „პესკი“-დან ტყას ხანძარი დაგინახეთ. ცეცხ-  
ლი, როგორც ვაშმაგებული გარეული ნადირი, წითელი  
თათებით სწვდებოდა ხეების და ნთქავდა მათ.

უკან დაბრუნებისას გზაში შეგვემთხვა პირველი ფა-  
თერაქი: ტბა აღელდა; ის იყო მოვიცილით ნაპირს,  
უეცრად ნავი გადაგვიბრუნდა, და ჩვენ დიდის ტანჯვით  
მივალწიეთ ნაპირს. სალამოს ლელვა დაწყნარდა, და ჩვენ  
მშვიდობიანად დავბრუნდით უკან.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩავსხედით გემში და გა-  
ვემზავრეთ ქალაქ პოვენეცში.

მხრებზე ჩანთაწაძოკიდებულებმა დავტოვეთ ქა-  
ლაქი.

პაერში კოლოები ბზუოდენ. ჩვენ მათ ვიგერიებდით  
ტოტებით, მაგრამ არაფერი გვეწვლოდა, მათი კბენა  
ატანდა ტანსაცმელში, გვიძვრებოდენ კისერში, ხელებში,  
ფეხებში.

— კუპრი უნდა წავისვათ, სხვა გზა არაა,—უკმა-  
ყოფილოდ წარმოსთქვა ბელურამ (ქენიას „ბელურა“  
დავარქვით, იძიტომ რომ გზაში იპოვა ძკვლარი ბელურა  
და უხლოდა გაეხმო იგი კოლექციისათვის, როგორც კა-  
რელიის ფრიველების ნიძუში). ივენ ამოვიღეთ კუპრიანი  
ქილები და წავისვით სახეზე, ხელებზე, ფეხებსა და კი-  
სერზე.

ღამე კარავი გავშალეთ და სწრაფად დავიძინეთ.  
დილით, როგორც კი გამოვედით კარავიდან, ვალიამ  
და „ბელურამ“ უეცრად გადინახარეს. მე ვანცვიფრე-  
ბული შევეყურებდი მათ. თურმე, ნუ იტყვით, მე წაძისვამს  
ბოობლის კუპრი და ფერით ზანგს დავძსგავსებდით. გა-  
სუფთავებული კუპრის მაგიერ ჩემთვის თურძე ბოობლის  
კუპრი მოუციათ.

ამ დღეს მე ამაოდ ვცდილობდი პირის და-  
ბანას. ორი კვირის შემდეგ ძლივს მოვიცილე კუპრი.  
უეცრად „ბელურა“ გვერდზე დაიხარა და დაიძახა:  
— ბიჭებო, ჩემოდანი ვიპოვე!

გავალეთ ჩემოდანი და იქ აღმოჩნდა პერანგი, ვალ-  
სტუკი, ცოტა ღორის ძეხვი და ხელნაწერი ფრანგულ  
ენაზე. ძეხვი შევჭაპეთ, ჩემოდანი ავიღეთ და გახვარდეთ  
გზა.


სალამოს სოფელ კაპსელიეში მივედით. უქმე იყო  
და სადღესასწაულოდ გამოწყობილი ძკხოვრებნი ცეკვაფ-  
დენ და ძღეროდენ. სოფელში ვიშოვნეთ ძღინარეზე გა-  
დაძყვანი და ტბისკენ გავსწიეთ ჩავსხედით ნავში და  
წავედით.

— ძია, საიდანა გაქვთ თქვენ ამდენი ტბა? — შე-  
ეკითხა „ბელურა“ გადაძყვანს.

— ოხ, ბავშებო, ეს გოძელი ამბავია, — გვიპასუხა  
კარელმა.

ჩვენ დაუწყეთ გამოკითხვა მოხუცს, და ბოლოს და-  
ვიყოლიეთ. აი რა მოგვითხრო მან:

— წყალი ჩვენში უცბად არ გაჩენილა. ძველად  
იყო ეს—ღმერთმა გამოაგდო ციდან ერთი აღამიანი.  
დაჯდა ეს კაცი და მწარედ დაიწყო ტირილი. და სტი-  
როდა ის მანამდე, სანამ არ ვაჩნდა აი ეს ონეგის ტბა.  
შემდეგ ის აღდა და გაუღდა გზას. მიდის და ტირის.  
ჩამოუვარდება ცრემლი—ტბად იქცევა, მეორე—მეორე  
ტბა ვაჩნდება. და აი ასე დაიფარა ჩვენი მხარე ტბებით.



ფიზკულტურა ბანაკში.

მეორე დილიდანვე მოვიკიდეთ ყველამ ამ საქმეს ხე-  
ლი. ფული გამოჩნდა: მუშები დაგვთანხმდენ კვირაობა მო-  
ეწყით, ჩვენ შევავროვეთ ძველი გაზეთები და გავყიდეთ,  
გავწმინდეთ კლუბი ნავისაგან და ყოველმა ჩვენგანმა შე-  
მოიტანა სამ-სამი მანეთი. სულ 200 მანეთი შეგვეგროვდა.

წავედით სამნი—მე, ქენია და ვალია (დანარჩენები  
მშობლებს არ გამოეშვათ).

მატარებელი მიქრის და ფანჯარაში გარბიან ქოხე-  
ბი, ხეები, მინდვრები. ბორბლები ხმაურობენ, თითქოს  
რაღაცაზე ლაპარაკობენ.

დილის 9 საათზე მატარებელი ლენინგრადში მივი-  
და, დაღამებისას კი ფრთხილად გადახიხდა ვოლხოვზე.  
მდინარის მარჯვენა ნაპირას იდგა მრავალთვალა სა-  
კვირველება—ვოლხოვსტროი.

შუადღისას უკვე პეტროზავოდსკში ვიყავით. ერთ-  
ერთ ინტერნატში მოვთავსდით.

ღამეა. როგორღაც არ მეძინება. მიგუხლოვდი ფან-  
ჯარას—აი საკვირველება!..—ღამის ორი საათია, მაგრამ  
სინათლეა, როგორც დღისით. დილით გავაგე, რომ ამ  
ღროს აქ თეთრი ღამეებია.

დილისით დავათვალიერეთ შეტალურგის ქარხანა და  
კარელიის მხარის მუხულები. შემდეგ გავცურეთ ნავით მი-  
დამოების დასათვალიერებლად.

ორ საათში რვა კილომეტრი გავცურეთ ონეგის  
ტუჩში და მივადექით „ეშმაკეის სკამს“.

მოხუცი ფინები მოგვითხრობდენ, რომ აქ ოდესღაც  
უცხოვრია ეშმაკს და თავისთვის გაუყეთებია სკამი, და  
მართლაც — „ეშმაკის სკამი“ უშველებელ სავარძელს  
გავს.





### მორჩი სპარტაკელები საბჭოთა კავშირში.

„შეუძლებელია იმ ალტაცების აღწერა, ჩვენ რომ განვიცადეთ საბჭოთა საზღვარზე გადმოსვლის დროს. ჩვენ ვიცოდით, რომ საბჭოთა ბავშვები გველოდნენ, და ამიტომ დიდი ხალხით მოვდიოდით აქეთვე, გვესურდა დ წერილებით გავცნობოდით თვეებს ცხარეებას.

საბჭოთა საზღვრამდე ვუმალავდით პოლონეთის პოლიციის აგენტებს ჩვენი მგზავრობის ნა. დვილ მიზანს.

არავინ არ იცოდა, რომ ჩვენ პიონერები ვიყავით; რომ გავგოთ, ცუდი დღე დაგვადგებოდა: უშეგვლად შარს მოგვდებდნენ და უფრო გვიან მოვიდოდით. ჩვენ ვმალავდით ყელსახვევებს, პიონერულ ნიშნებს, პიონერულ თემებზე ლაპარაკს ვერიდებოდით, მაგრამ როგორც კი გადმოვდით საბჭოთა საზღვარზე, მაშინვე თავისუფლად ვიგარძებიან თავი და დავიწყეთ შეხვედრისათვის მზადება.

განსაკუთრებით გვაფიქრებდა დროშა. ის საბჭოთა პიონერებისათვის მოგვუკვს. ამ დროშას ვუმალავდით პოლიციელებს. ყველგან აინტერესებდათ ჩვენი მგზავრობა. ჩვენ ყველას ერთსადაიანავს გუბასუბებით: „კურორტზე მივდივართ საბჭოთა კავშირში“. პიონერთა შეკრებებზე, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა ლაპარაკი—ასე გვიამბობს მოსკოვში ჩაოსვული გერმანელი პიონერების დელეგაცია

მორჩა მოხუცი თხრობას. ტბის ნაპირას წყნარად შრიალებს ლერწამი. ტალღები ეალერსება ნავის გვერდებს.

— ძია, პეტრე პირველი იყო ოდესმე აქ?

— როგორ არა, მოვიდა. დათვალა იერა ყველაფერი და დაწვა დესაძინებლად ერთი გლეხი ქალის ოჯახში. ამას კი ერთი პატარა ბავში ჰყავდა. ბავშმა ისე დაიწყო ტირილი, რომ მისი გაჩუმება ვერასვხით ვერ შესძლეს. პეტრემ ითმინა, ითმინა, შემდეგ შუალამეს გადმოვიდა საწოლიდან, ამოიღო ჯიბიდან ათშაურიანი, მისცა ბავშს და უთხრა: „მე თუქცა დიდი ვარ, შენ მეტი ხარ, გატყობ. ჰა, ათშაურიანი, იე კი გზას განვაგრძობ“. და წავიდა სადღაც.

ნავი ნაპირს იადგა. გამოვემშვიდობეთ მოხუცს და განვაგრძეთ გზა.

თენდებოდა. ქარი ხეების კენწეროებში ხმაურობდა. ხმაამოუღებლივ მივდიოდით, უცებ გაისმა ჩინჩხარის მტრევის ხმა, და გამოვიდა უშეგვლებელი დათვი. პირველად ჩვენ ძალზე შეგვეშინდა და გაქცევა მოვანდომეთ, მაგრამ შევიკავეთ თავი და ნელა გავიარეთ მის შორი-ახლო. დათვი იბრუნა პირი და ტყეში შევიდა.

გათენებისას სოფელს მივალწვით. გავშალეთ კარავი და დავიძინეთ.

გამოღვიძებისას გადავწვიტეთ დაგვეთვალა იერებია. თუ როგორ ცხოვრობენ სოფლებში კარელები.

თითო სოფელში 15-20 კოპლია. თითქმის ყველა სახლი ორსართულიანია. საინტერესოა ეს სახლები: სახლი იყოფა ოთხ ნაწილად: ქვედა სართულის ნახევარი მუდმივი საცხოვრებელია, აქ სამზარეულოა, სასადილო და სხვა, მეორე ნახევარში საქონლის საკვება მოთავსებული. მეორე სართულის ნახევარი—კარელების სადღესასწაულო საცხოვრებელია, აქ კარგი ავეჯია, ფარდები, სისუფთავე, მეორე ნახევარში კი... შინაური ცხოველებია!! ცხენები და ძროხები ფართო კიბეზე აღიან მეორე სართულში.

კარელები სტუმართმოყვარენი არიან. როდესაც მათ გამოთმეული პურის ფულს ვაძლევდით, ისინი გვეუბნებოდნენ: „აბა რას ამბობთ, ჩვენში არაა მიღებული გირვანქების ანგარიშის გაწევა“.

განსაკუთრებით საინტერესოა კარელების ერთი წესი: მცხოვრებლები ნადირობას დროს ხშირად ტყეში ან მინდორში სტოვებენ ნანადირევს და სხვა საგნებს და დამშვიდებული მიდიან შინ: იქ არაფერს სხვის ნივთებს ხელს არ ახლებს, არ აიღებს.

ჩვენ ვუახლოვდებოდით ჩ. ჩჩქერებს „პორ-პოროგს“ და „ვირვასს“. შორიდანვე მოისმის ყრუ ხმაური. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, ხმაური თანდათან ძლიერდებოდა და, ბოლოს, ჩვენს წინ სამი ჭოროხია, სიმაღლით 5-6 მეტრი. შხუის წყალი. ჩვენ გავცილდით ამ ადგილს, ჩ ჩჩქერი „კივიჩიკენ“ მივდივართ. მისი ხმაური 6 კილომეტრზე ისმის. როდესაც მივედით „კივიჩთან“, მისი ხმაური ისეთი ძლიერი იყო, რომ ლაპარაკი შევწყვიტეთ, — სულ ერთია, მაინც არაფერი ისმოდა. სუფთა, როგორც ბროლი, წყალი შხუილით ვარდებოდა ოცი მეტრის სიმაღლიდან.

257 კილომეტრი გავიარეთ კარელიის მიწაწყალზე. ჩვენი მგზავრობა ამით უნდა დასრულებულიყო. ვუახლოვდებოდით მარმალილოს მთას. ამ წთის კლდეები მოლუშულია. ქარსა და წყალს დაუშლია ისინი. დაბლა გველსავით კლაქნით მირბის ჭოროხიანი პატარა მდინარე, მის იქით — სოფელია.

რამდენიმე საათის შემდეგ უკვე კონდოსტროში ვართ. მუშაობა დულს. მანქანა ტონობით ბლუჯავს უშეგვლებელი თათებით მიწას და მიაქვს სადღაც.

აქ გამოვემშვიდობეთ კარელიას.

გემმა „უოიციკიმ“ უკან ტბით წამოგვიყვანა. აღელდა ტბა. მგზავრების ერთ ნაწილს სტანჯავდა ზღვის ავადმყოფობა.

როდესაც ღელვა დაწყნარდა, ერდოზე გავედით. იქ დავინახეთ ორი ცილინდროსანი. ჩვენ მათ გამოვეცნაურეთ, გავიგეთ, რომ ესენი ყოფილან ფრანგები, ლიტერატორები. ისინიც ეცნობოდნენ კარელიას. გამოირკვა, რომ ამათ დაუკარგავთ ჩემოდანი; „ბელურამ“ მოუტანა ნაპოენი ჩემოდანი. ფრანგებმა მადლობა გადაგვიხადეს და დაგვიპირდნენ, მოსკოვში ჩამოსვლისას შემოვალთ თქვენს კლუბში (კლუბში მათ არ შემოუვლიათ).

მეორე დღეს ლენინგრადში ვიყავით. მოვთავსდით სმოლნში. დავათვალა ერთი ერმიტაჟი, პეტრე-პავლეს სიმაგრე. ლენინგრადში დავყავით ოთხი დღე; არ გვინდოდა დატოვება, მაგრამ სხვა რა გზა იყო. გამოვეთხოვეთ ლენინგრადს, და მატარებელმა ისევ მოსკოვისაკენ გამოგვაქანა.



# რას ნიშნავს ხუთწლიანი გეგმა

საქართველოს  
სოციალისტური  
რევოლუციის  
გაზეთი

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სინამდვილეში ხუთწლიანი გეგმა, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, დიადი სამუშაოების გეგმაა. ეს ისეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარების წინსვლა.

ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ძირითადი გეგმაა, თუ როგორ და რა პირობებით, რა გზებით და რა საშუალებებით უნდა მიმდინარეობდეს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა.



გომბორის პიონერების ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია.

ამიტომ როგორც ყოველი კომუნისტის, ყოველი მეშის და საბჭოთა მოქალაქის, ისე პიონერების ვალია იცოდნენ ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შინაარსი და საფუძვლები, რომლის განხორციელება მტკიცე ნიადაგს უმზადდებს საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ მეურნეობას.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ წარმოიშვა ხუთწლიანი გეგმა.

ჯერ კიდევ 1920 წელს, სამეურნეო დაქვეითების და შიმშილის პერიოდში, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეს, ელექტროფიკაციის გეგმას ამხანაგმა ლენინმა პარტიის მეორე პროგრამა უწოდა, რაც შემდეგ დღევანდელი სამეურნეო გეგმების საფუძველი შეიქნა, რაც შეეხება ამხ. ლენინის სიტყვებს, ყველაზე მეტად ახლა შეიძლება ეწოდოს პარტიის მეორე პროგრამა იმ გეგმას, რომელსაც ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა ჰქვია.

ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა წარმოიშვა და გაღრმავდა საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ნიადაგზე, რომელსაც თან ახლდა და დღესაც ახლავს მთელი რიგი სიძნელეები, რაც ქვეყნის სამეურნეო ჩამორჩენილობით და კლასიური მტრის წინააღმდეგობით აიხსნება.

ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა უპირველეს ყოვლისა პროგრამაა, თუ როგორ უნდა იქნეს გადალახული ჩვენი ტექნიკურ-სამეურნეო ჩამორჩენილობა, როგორ უნდა მოხდეს დაწევა და შემდეგ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალური განვითარების დონეზე გადაზიდვა, ასეთია პარტიის ძირითადი დირექტივი.

უიმედობის და სხვა ყოველგვარი დაცემულობის გამო-მხატველ განწყობილებას ძირითად სამეურნეო საქითხებში პარტია მტკიცე, გარკვეულ სამეურნეო გეგმას უყენებს, რომლის საფუძველზე მან ხუთი წლის განმავლობაში მეცნიერულად გამოანგარიშებული მიღწევები უნდა მიიღოს. კურსი აღებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, სამეურნეო ჩამორჩენილობის გადალახვისაკენ, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების მსხვილი მანქანური წარმოების საფუძველზე გადაყვანასა და კოლექტივიზაციისაკენ.

ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა მშრომელი მასების წინაშე განვითარებას მეტად ახლო სურათებს შლის. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ნიადაგზე საბჭოთა მეურნეობამ უნდა განიცადოს საწარმოო ძალთა უჩვეულო ზრდა. სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად 11 — 15 პროცენტი უნდა შეემატოს, მრეწველობის ყოველწლიური ზრდა 22—25% უნდა უდრიდეს, მოსავლიანობა ხუთი წლის განმავლობაში 35%-ით უნდა გადიდდეს.

ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკული მიზანი კაპიტალური მშენებლობაა. ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალურ სამუშაოებზე მეურნეობის ყველა დარგში უნდა დაიხრჯოს 64 მილიარდი მანეთი.

მრეწველობაში პირველ ხუთ წელს უნდა დაბანდეს 4, 2 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთ წელს — 15, 6 მილიარდი მანეთი. სასოფლო მეურნეობაში პირველ ხუთწლედში დახარჯული თანხა შეადგენს 14,9 მილიარდ მანეთს. შემდეგ ხუთწლედში გათვალისწინებულია 23,6 მილიარდი მანეთის დახარჯვა.

ეს უდიდესი კაპიტალური მშენებლობის გეგმა აუცილებლელი პირობაა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. ამ ამოცანების განხორციელება საგრძნობლად წასწევს ჩვენს ქვეყანას სოციალიზმისაკენ. ხუთწლიანი გეგმის თანახმად უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის მსხვილი ინდუსტრიის გადიდება, ვინაიდან მსხვილი ინდუსტრია სახალხო მეურნეობის რკინის ხერხემალია. ხუთწლიანი გეგმის თანახმად გათვალისწინებულია სასოფლო მეურნეობის გადაკეთების საქმე. ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია 85% გლეხური მოსახლეობისა ჩამბულ იქნეს კოოპერატიულ გაერთიანებებში, 20 მილიონი ღარიბი და საშუალო გლეხი შეყვანილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობაში.

ასეთია სურათი ხუთწლიანი გეგმის დიდი სამუშაოების პროგრამისა, რომლის ცხოვრებაში გატარებით პარტია აჩქარებს ქვეყნის სოციალიზმისაკენ სვლას, აჩქარებს ინდუსტრიალიზაციის ტემპს, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გაძლიერებას, რაც იმის თავდება, რომ ჩვენი ქვეყანა გადალახავს სამეურნეო სიძნელეებს.

ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა გენერალური გეგმაა, თუ როგორ უნდა იქნეს აშენებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი.



# სამუში.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ატლანტიკური ოკეანედან ნილოსის ველამდე გადაჭიმული მსოფლიოში უდიდესი უდაბნო საჰარა. მას უჭირავს აფრიკის ჩრდილო სახელმწიფოების (მაროკო, ალჟირი; ფეცანა, ტრიპოლი, ეგვიპტე, ნუბია) ნაწილი; სიდიდით ის თითქმის ევროპის ოდენაა. აქ არის დიდი მთებიც, კილომეტრის სიმაღლის, პრტყლი ქვიანი მალაობებიც, სილიანი გორებით დაფარული ველები, თიხნარიანი ქვაბულები, ძარილიანი ტბები, დაბლობები და ნოყიერი მიწები — ოაზისები.

